სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 21 დეკემბერი 2006 №295 (2917) ფასი 50 თეთრი

დიდმელი დიდმელა

ვიტ ჯორჯიამ დინამოს კაპიტანი დაუთმო

ახალი და ერთობ სერიოზული ამბავი თბილისის „დინამოდან“: გუშინ ქვეყნის თორმეტგზის ჩემპიონებმა საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, გაზეთ „სარბიელის“ მიერ მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის საუკეთესო მოთამაშედ დასახელებული დავით დიღმელაშვილი დაიმატეს. კონტრაქტი სამწლიანია, რითაც, ცხადია, ორივე მხარე კმაყოფილია. მოკლედ, გუშინ ოფიციალურად გაფორმდა ზამთრის ქართული სატრანსფერო ფანჯრის ჯერჯერობით ყველაზე დიდი და ხმაურიანი ტრანსფერი

ინტერვიუ დავით დიღმელაშვილთან იხილეთ მეორე გვერდზე

ვისი თავი ვის

ტორპედო კიკნაძეს მოელაპარაკა, მერანი კუტივაძეს ელაპარაკება

აივერსონის ახალი ვერსია

ჭინკა ალენი ფილადელფიაში გაქრა და... დენვერში გაჩნდა



ბადრი კუტელაძის ფოტო

აი, ამბავი დიღმელაშვილი დინამოელია!

„დინამო“-დიღმელაშვილის მოლაპარაკებას დიდი ხანი არ დასჭირვებია, ტრანსფერი სულ რამდენიმე დღეში მოგვარდა. 26 წლის **დავით დიღმელაშვილს**, ვისაც „ვიტ ჯორჯიაში“ ექვსი სეზონი გაუტარებია, სხვა ქართული და უცხოური კლუბებიც ეპატიჟებოდნენ, მაგრამ ყველას სწორედ „დინამომ“ აჯობა და საახალწლოდ ასეთი მნიშვნელოვანი შენაძენიც გაიკეთა.

რა და როგორ იყო, რატომ წავიდა დავით დიღმელაშვილი „ვიტ ჯორჯიადან“ — ამას თავად ფეხბურთელის ნათქვამიდან შეიტყობთ, რომელსაც გუშინვე, კონტრაქტის გაფორმების შემდეგ დავუკავშირდით...

— „ვიტ ჯორჯიასთან“ კონტრაქტი დამიმთავრდა და „დინამოში“ გადასვლაზე დიდხანს არც მიფიქრია. საკმაოდ კარგი პირობები შემომთავაზეს, შემდეგ უკვე დეტალურ მოლაპარაკებებზე გადავედით და აგერ, ახლა სამწლიანი კონტრაქტიც გავაფორმე. მიხარია, რომ კარიერა ახალ და ასეთ სახელოვან გუნდში უნდა გავაგრძელო. „დინამოს“ მიზანი, ცხადია, ჩემპიონობა და თასის მოპოვებაა და დიდი იმედი მაქვს, ამას ამ სეზონშივე მოვახერხებთ.

— „ვიტ ჯორჯიას“ კონტრაქტის გაგრძელება არ შემოუთავაზებია?

— კლუბის პრეზიდენტთან ადრე ვიყავი შეთანხმებული, რომ კონტრაქტის დასრულების შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ დავტოვებდი. ეს დროც მოვიდა და კლუბს არანაირი პრობლემა არ შეუქმნია.

— აქამდე ამბობდნენ, დიღმელაშვილი კარიერის გაგრძელებას უცხოეთში ეშურებაო. მოულოდნელად კი „დინამოში“ აღმოჩნდი...

— ვიდრე „დინამოში“ გადავიდოდი, უკრაინული გუნდებიდან მქონდა წინადადებები, მაგრამ რეალური სიტყვა არავის უთქვამს. მიწვევდა „ზესტაფონიც“, თუმცა ჩემთვის ყველაზე მისაღები „დინამოს“ შემოთავაზება იყო. „დინამოში“ გადასვლაზე უარს ვერ ვიტყოდი. ჯერ ერთი, არჩევანის გაკეთებისას სახელსაც მივაქციე ყურადღება და წინაც გავიხედე — ახლა უფრო მეტი პერსპექტივა მაქვს.

— „ვიტ ჯორჯიადან“ წამოსვლით გულდაწყვეტილი იქნები...

— რა თქმა უნდა, გული დამწყდა, მაგრამ ჩემი კარიერისთვის ასე სჯობდა. „ვიტ ჯორჯიაში“ ექვსი წელი ვიყავი, ფეხბურთელად სწორედ ამ კლუბში ჩამოვყალიბდი. „ვიტ ჯორჯიამ“ ბევრი მომცა და ხელმძღვანელობისა და ფეხბურთელების მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის.

— „დინამოს“ მწვრთნელს თუ იცნობ?

— დუშან უჰრინს ჯერ არ შევხვედრივარ, გუნდი შვებულებაშია და, როცა შევიკრიბებით, მწვრთნელსაც მაშინ გავიცნობ. ისე კი, „დინამოს“ ხელმძღვანელობამ გადმომცა, რომ დუშან უჰრინს ჩემი გადაბირება ძალიან სდომებია. სასიამოვნოა, რომ ასეთი სახელოვანი მწვრთნელი დაინტერესდა ჩემით. ვეცდები, მისი იმედები ბოლომდე გავამართლო.

მაშ ასე, თბილისის „დინამომ“ გაძლიერებისკენ წლეულს პირველი და ასეთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა. აქამდეც ბევრჯერ ითქვა, რომ „დინამო“ ჩემპიონატის მეორე წრემდე რამდენიმე ფეხბურთელის დამატებას აპირებს და ეს სია დავით დიღმელაშვილით დაიწყო. ანთალიურ შეკრებაზე გუნდს ავსტრალიელი ნედ ზელიჩიც შეუერთდება, იქამდე კი „დინამოდან“ ალბათ სხვა სიახლეებსაც გავიგებთ...

კოგა ინასარიძე

კუტივაძე მერანში
მოლაპარაკებები უკვე დაიწყო



ბადრი კუტელაძის ფოტო

თბილისის „მერანის“ მწვრთნელად ნოდარ აკობიას დანიშვნაზე გავრცელებული ხმები უსაფუძვლო გამოდგა. ეს ყველაფერი გუშინ ჩვენთან საუბრისას თავად აკობიამ უარყო...

— ვერ ამიხსნია, საიდან გაჩნდა ეს ხმები. „დინამო 2“-ში ვმუშაობ, მწვრთნელთა მოსამზადებელ კურსებზე დავდივარ, ჩემს საქმეს ვაკეთებ და ესეც რომ არ იყოს, „მერანიდან“ არც არავინ დამკავშირებია. ყველაფერი ტყუილია, მე „დინამოში“ ვმუშაობ — გვითხრა ნოდარ აკობიამ.

ყველაფერი კარგი, მაგრამ „მერანის“ მწვრთნელის შეცვლაზე ლაპარაკი მაინც არ გამოდგა ჭორი — როგორც შევიტყვეთ, დიდი შანსია, ამ გუნდს დავით ეჯიბიშვილის ნაცვლად სერგო კუტივაძე ჩაუდგეს სათავეში.

კუტივაძე ქართულ ფეხბურთში გამოცდილი კაცია. თავის დროზე თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“ თავკაცობდა. მწვრთნელად მუშაობდა საქართველოს ეროვნულ და ასაკობრივ ნაკრებებშიც, ბოლო ხანს კი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში საქმიანობდა — ეროვნული ჩემპიონატის მატჩების დამკვირვებელი გახლდათ.

სერგო კუტივაძემ „მერანში“ დანიშვნის შესაძლებლობა არ უარყო, თუმცა დასძინა, ბოლომდე გადაწყვეტილი ჯერ არაფერიაო...

— „მერანიდან“ მართლაც დამიკავშირდნენ და დახმარება მთხოვეს. ჯერ გადაწყვეტილი არაფერია, ალბათ გუნდს თავიდან ერთი თვით ჩავიბარებ, მოსამზადებელ ეტაპს გავივლით და მერე ვნახოთ... მეც და კლუბის ხელმძღვანელობაც სიტუაციას ერთად შევაფასებთ და მომავალსაც ერთად გავარკვევთ — გვითხრა გუშინ სერგო კუტივაძემ.

კახა შალამბერიძე

პროფლიგამ ადელი ადვილად თქვა: არა!
დღეს ბათუმი აჭარას ხვდება

ბათუმში რომ სტადიონი დაანგრიეს და უმაღლესიგელი კლუბი უსარბიელოდ დარჩა, ეს ძველი ამბავია. ითქვა, საშინაო მატჩებს „ბათუმი“ ქალაქის ახლოს დაბა ადელში ჩაატარებსო, თუმცა სადღეისოდ ამ საქმიდან არაფერი გამოდის. საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა კატეგორიულად აცხადებს, რომ ისეთ სტადიონზე, როგორიც ახლა ადელშია, „ბათუმს“ უმაღლესი ლიგის მატჩების გამართვის ნებას არ მისცემს.

პროფლიგის საგანგებო კომისია ადელიდან გუშინ დაბრუნდა და ნანახით ძალიან უკმაყოფილო დარჩა. ფეხბურთის სათამაშოდ ადელში ელემენტარული პირობები არ არის და თავის დაცინვა იქნება იქ თამაშიო. პროფლიგის ცნობით, „ბათუმმა“ მეორე წრის დაწყებამდე თუ მოახერხა ადელის სარბიელის გარემონტება-გაკოხტავება, მაშინ გუნდს იმ სტადიონზე თამაშის უფლებას მისცემენ, თუ არა და...

მოკლედ, პროფლიგა არ ხუმრობს და ბათუმელებისთვის არაფრის დათმობას არ აპირებს...

და რა სიახლეებია „ბათუმში“? დღეს კლუბის ხელმძღვანელობა აჭარის მთავრობის ხელმძღვანელ ლევან ვარშალომიძეს შეხვდება და წესით, ბევრი რამ უნდა გაირკვეს — ფაქტობრივად, ყველაფერი, რაც გუნდის სამეორეწრეო ამბებს შეეხება.

„ბათუმის“ მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ გვითხრა, მონახაზი უკვე გაკეთებულია, სასურველი ფეხბურთელების სიაც გვაქვს და მთავარი, რაც ლევან ვარშალომიძესთან შეხვედრისას უნდა გაირკვეს, დაფინანსების საკითხიაო.

ლუკა თალაკვაძე

ვინ იგულისხმა მიულერმა?

გერმანული „შალკეს“ მალხაზ ასათიანით დაინტერესების თაობაზე გუშინაც ვწერდით. რუსული პრესის ცნობით, მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ქართველი ფეხბურთელი 7 მილიონ დოლარად შეაფასა და თუ „შალკე“ ამ თანხის გადახდას შეძლებს, დიდი შანსია, ტრანსფერი ზაფხულში შედგეს.

გუშინ „შალკეს“ გენერალურმა მენეჯერმა ანდრეას მიულერმა ინტერვიუ მისცა კლუბის ვებგვერდს, სადაც დაადასტურა, რომ კლუბი მალე რამდენიმე საინტერესო ტრანსფერს გეგმავს და მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

მართალია, მიულერს გვარები არ დაუსახელებია, თუმცა არ არის გამორიცხული, ტრანსფერებში ასათიანიც ეგულისხმა — „შალკე“-„ლოკომოტივს“ შორის ხომ მოლაპარაკებები უკვე დაწყებულია.

სხვათა შორის, გუშინვე სანკტ პეტერბურგის „ზენიტმა“ ოფიციალურად მიმართა „შალკეს“ ბრაზილიელი გამთამაშებლის ლინკოლნის თაობაზე.

კახა შალამბერიძე

ინგლისი

ლიგის თასის მეოთხედფინალი
ნიუკასლი 0:1 ჩელსი
ტოტენჰემი 1:0 დ.დ. საუთენდი

იტალია

სერია A. XVII ტური
მილანი 3:0 კატანია
ატალანტა 1:2 უდინეზე
კალიარი 0:2 ფიორენტინა
კიევო 3:2 რეჯინა
ემპოლი 1:0 სიენა
ლაციო 0:2 ინტერი
მესინა 1:1 პარმა
პალერმო 4:0 ასკოლი
სამპდორია 4:1 ლივორნო
ტორინო 1:2 რომა

ესპანეთი

პრიმერადივიზიონი
XVI ტური
სელტა 0:0 სოსიედადი
ხეტაფე 0:1 ესპანიოლი
ხიმნასტიკი 0:1 ბეტისი
ოსასუნა 2:1 ლევანტე
რასინგი 2:1 ვილიარეალი
რეალი 0:3 უელვა
სევილია 4:0 დეპორტივო
სეგუნდადივიზიონი
XVIII ტური
მურსია 3:2 მალაგა
ნუმანსია 2:1 სიუდად მურსია
ალბასეტე 1:1 პოლი ეხიდო
კადისი 0:0 პონფერადინა
კასტელიონი 2:1 ლორკა
ალმერია 2:0 ელჩე
ვესინდარიო 0:3 სალამანკა
ტენერიფე 3:2 რეალი B

ჰოლანდია

მეორე დივიზიონი
XXII ტური
როზენდალი 2:0 დენ ბოსხი

გერმანია

თასის მერვედფინალი
ფიურტი 1:3 ვოლფსბურგი
ჰანოვერი 1:0 დუისბურგი
ოფენბახი 2:1 ბურგჰაუზენი
ალემანია 4:2 ბაიერნი

საფრანგეთი

ლიგის თასის
მეოთხედფინალი
სოშო 1:2 ლე მანი
რენი 0:1 რეიმსი
ლიონი 3:1 ნანსი

ბელგია

სუპერთასის ფინალი
ანდერლეხტი 3:1 ზულტე-ვარეგემი

საბერძნეთი

თასის 1/16 ფინალი
პირველი მატჩები
ნიკი 0:1 ილისიაკოსი
პანიონიოსი 0:1 ძსანთი
პანათინაიკოსი 0:0 კალამარია

თურქეთი

თასის ჯგუფური ეტაპი
III ტური
A ჯგუფი
ერჩიესი 4:1 გალათასარაი
B ჯგუფი
ძონია 2:2 ანკარა
მანისა 6:1 ესკიშეჰირი
C ჯგუფი
სივა 1:0 ისთანბული
D ჯგუფი
გენჩლერი 3:0 ბეშიქთაში

რიკოთული როჟი

კიკნაძეს და ზამთარაძეს სირბილაძეც მიჰყავთ

გაურკვეველი მდგომარეობაში მყოფ ქუთაისის „ტორპედოს“ ირგვლივ ნისლი თანდათან იფანტება. ისევ და ისევ კულუარული ინფორმაციით, რიონისპირული კლუბის აქციები კომპანია „სამი ტუზის“ ხელში უნდა გადავიდეს. სათამაშო ბიზნესის მქონე კომპანიასთან ერთად, შესაძლოა, „ტორპედოს“ დახმარების ხელი „აირზენამაც“ გაუწოდოს.

ცვლილებებია სამწვრთნელო შტაბშიც. რუსთავის „ოლიმპში“ რევაზ ძოძუაშვილის წასვლის შემდეგ უმწვრთნელოდ დარჩენილ „ტორპედოს“ სწორედ რუსთავური კლუბიდან გათავისუფლებული გიორგი კიკნაძე უთავკაცებს. მისი თანაშემწე ქუთაისშიც ზაზა ზამთარაძე იქნება.

— „ტორპედოში“ ახალი მეპატრონე მოდის, მაგრამ ამ ეტაპზე მათ თავად არ სურთ აფიშირება — ყველაფერი ალბათ რამდენიმე დღეში გაირკვევა. მათი მიზანი ქუთაისში ძველი საფეხბურთო ტრადიციების აღდგენა და ჩემპიონობისთვის ბრძოლაა. ამის მისაღწევად უკვე გადაიდგა ნაბიჯი — „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელად გიორგი კიკნაძე დაინიშნა, რომელმაც „ოლიმპი“ შემოდგომის ჩემპიონობამდე მიიყვანა. მას ზაზა ზამთარაძე დაეხმარება — გვითხრა „ტორპედოს“ პრესსამსახურის უფროსმა გოგა მინდელმა.

ცვლილებები უკვე მოხდა გუნდის შემადგენლობაშიც — „ტორპედო“ დატოვა კაპიტანმა დავით გამეზარდაშვილმა, რომელიც „სკონტოს“ საკუთრებაა; ჯერჯერობით გაურკვეველია გივი ჩხეტიანი ბედი — ეს მოთამაშე „ამერს“ ეკუთვნის.

მინდელმა ისიც გვითხრა, რომ თითქმის ასი პროცენტითაა გადაწყვეტილი გუნდში ირაკლი სირბილაძის მისვლა, რომელმაც პირველი წრე კიკნაძის „ოლიმპში“ ჩაატარა.

უკვე დაგეგმილია მოსამზადებელი ეტაპიც — „ტორპედო“ 26 დეკემბერს თბილისში შეიკრიბება და ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან. 3-10 იანვარს რიონისპირელები ხელმეორედ შეიკრიბებიან და მზადების პირველ ეტაპს გაივლიან. ახალი ხელმძღვანელობა უცხოურ შეკრებასაც გეგმავს — 20 იანვრიდან „ტორპედო“ თურქეთის ქალაქ ანთალიაში ივარჯიშებს.

ხელმძღვანელობა საწვრთნელი ბაზის შეკეთებასაც აპირებს. ასე რომ, „ტორპედო“ მეორე წრეს დიდი ამბიციებით ხვდება.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

რევაზ ძოძუაშვილი და ვალერი კილასონია

ძოძუაშვილს და ოლიმპს კილასონია დღეს ეტყვის

რუსთავის „ოლიმპის“ ახალ მთავარ მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილს დღეს შესაძლოა, ახალი თანაშემწე დაუმტკიცონ — „ოლიმპმა“ უკვე შესთავაზა სამსახური ვალერი კილასონიას და თვითონ კილასონიას გადასაწყვეტია, იმუშავებს თუ არა მწვრთნელად „ოლიმპში“ — მისგან კლუბი პასუხს დღეს ელის.

„ოლიმპმა“ უკვე დაასრულა მოლაპარაკება სამ ფეხბურთელთან — მცველი ზურაბ არზიანი, მეკარე მირზა მერლინი და ფორვარდი რევაზ გოცირიძე თანახმანი არიან, „ოლიმპში“ ითამაშონ, მაგრამ საბოლოო სიტყვა ძოძუაშვილმა უნდა თქვას.

რაც შეეხება წამსვლელებს, „ოლიმპი“ ოფიციალურად ამ დროისთვის მხოლოდ სამმა ფეხბურთელმა დატოვა — მეკარე რევაზ ნაჭყებიამ, მცველმა როინ ონიანმა და ნახევარმცველმა გია თოდუამ.

დავით თავართქილაძე

ევროპა უსაფრთხოებას მენტალურადაც არჩევს

ამ ცოტა ხნის წინ ლიტვის დედაქალაქ ვილნიუსში ევროსაბჭოს საკონსულო დეპარტამენტის და ლიტვის სპორტის დეპარტამენტის ორგანიზებით, საფეხბურთო სემინარი გაიმართა. მატჩების ორგანიზება და ძალადობა საფეხბურთო მატჩებზე — ღონისძიების მთავარი თემა ეს იყო. სემინარებს საქართველოდან თბილისის „დინამოს“ უსაფრთხოების ოფიცერი გია ისიანი დაესწრო, რომელიც იქ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი იყო — ისიანი ხომ საქართველოს ნაკრების მატჩებზეცაა უსაფრთხოების ოფიცერი.

თბილისში დაბრუნებულ ისიანს ლიტვურ სემინარზე აზრის გამოთქმა ვთხოვეთ...

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მადლობელი ვარ, ასეთ საინტერესო სემინარზე რომ გამიშვა. სემინარი სამდღიანი იყო და ყველა იმ საკითხზე იყო საუბარი, რაც მატჩების ორგანიზებას ეხება.

— სემინარებს საინტერესო და, ცხადია, თავიანთი საქმის მცოდნე ხალხი გვიკითხავდა. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ლიცენზირების კომიტეტის ხელმძღვანელმა ფეხბურთის განვითარებაზე და უსაფრთხოებაზე ისაუბრა, უსაფრთხოების საკითხებს მოიცავდა ჩეხეთის კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის გამოსვლაც, ლიეჟის „სტანდარტის“ წარმომადგენელი ფანებთან ურთიერთობაზე გვესაუბრა.

— რამდენიმე საინტერესო და ახალი რამ მოვისმინე. სემინარზე ითქვა, რომ როცა სტუმარი გუნდის გულშემატკივრები მიდიან სტადიონზე, მატჩის ორგანიზატორმა მასპინძლებმა მათი მენტალიტეტიც უნდა გაითვალისწინონ და გუნდების სატურნირო მდგომარეობაც.

— ბევრი ითქვა სტიუარდების სწორად დასაქმებაზეც. თეორიულად კი ვიცოდი, თუ როგორ უნდა დასაქმდეს სტიუარდი, მაგრამ კიდევ ბევრი რამ შევიტყვე. მაგალითად, არ შეიძლება, რომ სტიუარდი იყოს პოლიციელი და უნდა მოვერიდოთ სტიუარდებად მოხალისეების გამწესებას. სტიუარდი დაქირავებული მოხელე უნდა იყოს. მისი ფუნქციაა, იყოს მატჩზე მისული გულშემატკივრის მეგობარი, გულშემატკივრისთვის მიმართულების მაჩვენებელი. სტიუარდი გულშემატკივართან სულ ახლო კონტაქტში უნდა იყოს და თუ ხულიგნობას შენიშნავს, მყისვე უნდა აცნობოს დაცვის სამსახურს ან პოლიციას.

— სემინარებზე ვთქვი, თუ რა სამუშაო გაწია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ნაკრების ფანებთან და ყველას ძალიან მოეწონა კლიპის — „ჩვენ ერთი გუნდი ვართ“ — შექმნის იდეა. მოვუყევი აგრეთვე იმაზე, რომ „დინამომ“ თავის ფანებთან ფეხბურთი ითამაშა და ესეც ყველას ძალიან მოეწონა.

— ბევრი ითქვა სტადიონზე ალკოჰოლური სასმელების აკრძალვაზეც. ფიფას და უეფას თამაშებზე ლუდის შეტანაც აკრძალულია, თუმც წლეულს გერმანიაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე პრეცედენტი დაუშვეს — ლუდი სტადიონთან იყიდებოდა. ამან სემინარზე კამათი გამოიწვია და გამოიკვეთა აზრი, რომ მკაცრი შეზღუდვები გულშემატკივრებს არ უნდა დაუწესდეთ. აქაც ძალიან მნიშვნელოვანი გახდა მენტალიტეტის საკითხი.

— რა თქმა უნდა, იყო საუბარი მასმედიის როლზეც. პრესას მაქსიმალური კომფორტი უნდა ჰქონდეს და ოფიციალურმა პირებმა ჟურნალისტებს ყველანაირი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ, მედია თითქმის VIP დონეზე უნდა იყოს — ასეთი გახლდათ სემინარზე მყოფი საზოგადოების პოზიცია, რადგან მთავარი პრიორიტეტი გულშემატკივარია და მედია ფანებს ფეხბურთთან ძალიან მჭიდროდ აკავშირებს.

ბ. ფარაგ ფოტოლაბორატორიის ფოტო

დავით თავართქილაძე

ავთანდილ შალამბერიძე, ამირან კაჭახიძე და ალექსანდრ ჩერნოუხო

ს. ფეფელაშვილის ფოტო

მსაჯთა აკადემიის მსმენელებს ფიფამაც მოუსმინა

გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა აკადემიის გამოსაშვები კურსის მსმენელთა გამოცდა მსაჯობის თეორიაში.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა და დამკვირვებელთა განყოფილების ხელმძღვანელთა გარდა გამოცდას დაესწრო ფიფას წარმომადგენელი ალექსანდრ ჩერნოუხოც, რომელიც კმაყოფილი დარჩა კურსანტთა მომზადების დონით.

ლუკა თალაკვაძე

ჯაკობიამ მეტალისტს უარი შეუთვალა

ჩემს გზას თავისუფლად ვიპოვი

ლაშა ჯაკობია (ბურთით) მაისს ელის

ხარკოვის „მეტალისტის“ ქართველ ფეხბურთელ ლაშა ჯაკობიას კიევის „არსენალში“ განათხოვრების ვადა ამოეწურა. იგი ახლა თბილისშია და ტრავმას იშუშებს, ნაახალწლევს კი უკრაინას მიაშურებს და „მეტალისტს“ დაუბრუნდება, თუმცა ხარკოვულ კლუბსა და ჯაკობიას შორის ურთიერთობა ბოლო დროს შეიცვალა და ქართველ თავდამსხმელს „მეტალისტში“ თამაში აღარ უნდა...

— ჯერჯერობით დატვირთვით ისევ ვერ ვვარჯიშობ, მაგრამ უახლოეს დღეებში ნელ-ნელა დავიწყებ. იანვარში კი ხარკოვში ჩავალ და გუნდს შევუერთდები.

— „მეტალისტთან“ ურთიერთობა რომ გაგირთულდა, ვიცით და იქ აპირებ დარჩენას?

— კონტრაქტი მაისამდე მაქვს, მაგრამ ხარკოვში დარჩენას არ ვაპირებ. სამიოდე დღის წინ დამირეკეს და კონტრაქტის გახანგრძლივება შემომთავაზეს, მაგრამ უარი ვუთხარი.

— სხვა გუნდებიდან შემოთავაზებები კი გქონდა, მაგრამ ტრავმა გეგმებს აგირევდა. წინადადებები ისევ გაქვს?

— რამდენიმე ვარიანტი ახლაც მაქვს, მაგრამ ტრავმირებული ფეხბურთელი არავის სჭირდება, თუმცა მაისამდე ფორმის აღდგენასაც მოვასწრებ და თავისუფალი აგენტის სტატუსით კარგი გუნდის მოძებნა არ უნდა გამიჭირდეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ტარანი ტარანად და, ჩვენ ვასო გვინდა

დონეცკის „მეტალურგის“ ისტორიაში კლუბის მაისურა 49 ლეგიონერს მოურგია. 50-ე კანდიდატი კი ორიდან ერთია — შახტარელი ოკუდავა ან „კრივბასის“ ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე.

სანამ „კრივბასი“ უმწვრთნელოდ იყო, გიგიაძის „მეტალურგში“ გადასვლას წინ, ფაქტობრივად, არაფერი ედგა. ახლა კრივოიროგელთა ახალი მწვრთნელი ოლეგ ტარანი ძირითადი შემადგენლობის შენარჩუნებაზე ფიქრობს, თუმც გიგიაძის შეძენას „მეტალურგი“ მაინც ეცდება.

— „მეტალურგში“ მაღალი დონის ლეგიონერებს უთამაშიათ — ტურე, ჩუტანგი, მენდოსა, ჯამარაული, დემეტრაძე... ვინ იცის, ყველა ამ ფეხბურთელს ერთად რომ ეთამაშა, შესაძლოა, უკრაინაში ერთით მეტი სუპერგუნდი ყოფილიყო. სამწუხაროდ, ისინი სხვადასხვა დროს მოხვდნენ უკრაინაში. ახლაც გვინდა, ასეთივე დონის მოთამაშეები მოვიყვანო, მათ შორის, ოკუდავაც და გიგიაძეც — განაცხადა „მეტალურგის“ ვიცე-პრეზიდენტმა დმიტრი სელიუკმა.

შეგახსენებთ, რომ ჯამარაულის და დემეტრაძის გარდა დონეცკურ კლუბში სამი მატჩი ლევან ცქიტიშვილს აქვს ჩატარებული, ორი — გოგა გახოკიძეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

სამი წლის წინ ალეკო ამისულაშვილი კიევის „დინამოში“ რომ გადავიდა, ბევრმა კახა კალაძის დარი კარიერა უწინასწარმეტყველა, თუმცა ტანმაღალმა და ჯანმაგარმა მცველმა კიევში ფეხი ვერ მოიკიდა. ჯერ „დნიპროში“, შემდეგ „ტავრიაში“, ბოლოს კი რუსულ „შინიკში“ თამაშობდა განათხოვრებით. ერთხანს თბილისის „დინამოშიც“ დაბრუნდა...

ამისულაშვილის „შინიკი“ პრემიერლიგის დასრულებამდე ათი ტურით ადრე ჩაქვეითდა პირველ დივიზიონში, ჩვენიანს კი განათხოვრების ვადა დაუსრულდა და კლუბის გამოცვლა გადაწყვეტილი აქვს.

ალეკო ამისულაშვილი ივიცა ოლიჩის (№9) წინააღმდეგ

16-17 წლის ბიჭი აღარ ვარ, ნაკრებში ვარჯიში მიხაროდეს

— კიევის „დინამოსთან“ კიდევ ორი წლით დამრჩა კონტრაქტი. მართალია, იქ არ დაბრუნდები, მაგრამ შემოთავაზებები მაქვს და ამაზე ჩემი უკრაინელი მენეჯერი მუშაობს.

— ყაზანის „რუბინში“ შენ გადასვლაზე ითქვა და იქნებ დეტალურად გვითხრა...

— ჯერ სერიოზული არაფერია. ყოველ შემთხვევაში, მე არავინ დამკავშირებია. წინადადებები სხვა ქვეყნებიდანაც მაქვს, მაგრამ უფრო რუსული პრემიერლიგის გუნდებზეა ლაპარაკი.

— „შინიკმა“ რომ გამოისყიდოს შენი ტრანსფერი, ითამაშებდი პირველ დივიზიონში?

— სხვათა შორის, „შინიკმა“ ამის სურვილი გამოთქვა, თან გაუმჯობესებული პირობები შემომთავაზა, მაგრამ პირველ დივიზიონში თამაში არ მსურს.

— ზურაბ მენთეშაშვილი რას აპირებს? მას ხომ მოქმედი კონტრაქტი აქვს „შინიკთან“...

— კი, ზურას სამწლიანი კონტრაქტი აქვს და არ ვიცი, რას აპირებს.

— მოკლედ, მენეჯერის ზარს ელი და მანამდე საქართველოში ხარ...

— რუსული პრემიერლიგის გუნდები 5-10 იანვარს იწყებენ ხოლმე სეზონისწინა შეკრებას და ჩემი ამბავიც წინა დღეებში გაირკვევა.

— „შინიკი“ თითქმის უბრძოლველად გავარდა პრემიერლიგიდან. რა იყო ასეთი წარუმატებლობის მიზეზები?

— ძალიან სუსტი გუნდია-მეთქი, ვერ ვიტყვი. რუსული პრესაც და ტელევიზიაც აღნიშნავდა, „შინიკი“ თავისი პოტენციალით ასეთ დღეში არ უნდა იყოსო. იქ მსაჯებმაც ითამაშეს როლი, მერე ფინანსური პრობლემებიც დაგვემატა.

— პირადად შენი თამაშით უკმაყოფილო იყავი?

— როცა გუნდი ვარდება, კმაყოფილი ვერ იქნები, თუმცა... ცუდად ნაღდად არ მითამაშია. თანაც „შინიკთან“ ერთად შეკრება არ გამოვლია, ისე მომიწია თამაშმა. ერთი სიტყვით, ცუდ ფორმაში არ ვარ.

— რუსეთის ჩემპიონატი უკრაინისას ბევრად სჯობს?

— აშკარად უკეთესია. რუსეთში ტაქტიკა-ტექნიკა უფრო მაღალ დონეზეა და მაღალი კლასის ფეხბურთელებიც თამაშობენ. უკრაინაში კი სირბილზე და ფიზიკურ მომზადებაზეა თამაში აგებული.

— „შინიკს“ ფინანსური პრობლემები შეექმნაო, თქვი. რუსეთში ცსკა, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“ და „ზენიტი“ ფინანსებით ძალიან აღემატებიან დანარჩენებს?

— „შინიკის“ პრობლემები შემთხვევითობა იყო. თავადაც იცით, რუსულ ფეხბურთში რა ინვესტიციები ჩაიდო — საშუალო დონის გუნდებიც წელგამართულები არიან და ამიტომაცაა დაძაბული ჩემპიონატი.

— საქართველოს ნაკრებზეც ვთქვათ: კლაუს ტოპმიოლერის თავკაცობით მხოლოდ ერთხელ, „ჰანზასთან“ ამხანაგურ შეხვედრაში ითამაშე...

— რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა, მაშინ ტოპმიოლერმა რომ გამომიძახა, მაგრამ 16-17 წლის ბიჭი არ ვარ, დაიმედება მახარებდეს. მე ნაკრებში სავარჯიშოდ ჩამოსულა ცაში არ ამაფრენს. ნებისმიერი 24 წლის თავმოყვარე ფეხბურთელი დისკომფორტს იგრძნობს, როცა ნაკრებში ჩამოვა და 18 კაცშიც კი ვერ მოხვდება. თუმცა მწვრთნელისა მესმის — მან საჭიროდ ჩათვალა, სხვები ეთამაშებინა. ეს ჩვეულებრივი მომენტია.

— ტოპმიოლერს არ უთქვამს, შენს თამაშებს დავესწრებიო?

— კი, მითხრა, დაგიკავშირდები და სათვალავში მეყოლებიო, თუმცა რამდენადაც ვიცი, „შინიკში“ ჩემ თამაშს ნაკრებიდან არავინ დასწრებია.

— ხომ ვერ შეადარებ საქართველოს ნაკრებს ტოპმიოლერამდე და ტოპმიოლერის ხელში? შენი აზრით, პროგრესი თუ ჩანს?

— ერთი ნაღდია, ამ დონის სპეციალისტი საქართველოს ნაკრებს არასოდეს ჰყოლია. თუმცა საქმეს მარტო მწვრთნელი ვერ უშველის: ეროვნული ჩემპიონატის დონე უნდა ამაღლდეს, ფეხბურთელებს შორის კონკურენცია უნდა იყოს. თანაც, ჩემი აზრით, როცა ტოპმიოლერის დონის მწვრთნელი ჩამოვყავს, ოთხი წლით მაინც უნდა დატოვო — ერთ წელიწადში ძნელია, ნაკრებს შესამჩნევი პროგრესი დაატყო. შეიძლება, ეს კლუბში მოახერხო, ნაკრები კი სხვაა...

ილია ნანოგაშვილი

მეტიუზიდან რონალდინიომდე

ლაშა გოდუაძის წიგნი ოქროს ბურთზე

„ოქროს ბურთი“ ის ტიტულია, რომელსაც ბევრი დიდი ფეხბურთელი, ვთქვათ, ტიერი ანრი, იურგენ კლინსმანი, პაოლო მალდინი ან მიქაელ ლაუდრუპი ვერ შეწვდნენ.

ეს ისე, წინასიტყვაობისთვის: გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ლაშა გოდუაძის წიგნის — „ოქროს ბურთის ისტორია“ — პრეზენტაცია გაიმართა. წიგნი 32-გვერდიანია, ფართოდ ილუსტრირებულია და „ოქროს ბურთის“ ლაურეატების საინტერესო ისტორიებს ასახავს.

ლაშა გოდუაძე, გეცოდინებათ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდის ადმინისტრატორია.

„წიგნში ასახულია „ოქროს ბურთის“ ყველა გამარჯვებული, სტენლი მეტიუზიდან რონალდინიომდე. სხვადასხვა მიზეზების გამო, ბოლო ლაურეატი ფაბიო კანავარო ამ წიგნში ვერ მოხვდა. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც დამეხმარა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომელიც ფინანსურად ამომიდგა გვერდში“ — თქვა ლაშა გოდუაძემ.

ილია ნანოგაშვილი



ზიდანი და ნადია

ფრანგულმა ჟურნალმა Voici-მ 50 ათასი ევრო უნდა გადაიხადოს. მიზეზი: მან გამოაქვეყნა საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კაპიტნის ზინედინ ზიდანის ფოტო და იგი 33 წლის პოპ ვარსკვლავ ნადიას, სრულად კი ნადია ზიგემს დაუკავშირა.

რა შუაში არიან ერთმანეთთან ზიდანი და ნადია? Voici-ს ფოტოზე ზიდანი შედის პარიზის რომელიღაც სახლში და გვერდზე გამოქვეყნებულია სხვა ფოტო, სადაც იმავე სახლში შედის ნადია. მარსელის სასამართლომ ფოტოების ასე დაკავშირება ზიდანის ღირსების შელახვად მიიჩნია და ზემოთნახსენები სასჯელი დაადგინა. ფოტოები, რომლებიც ჟურნალში 6 ნოემბერს გამოქვეყნდა, ოთხი შვილის მამისა და სანაქებო მეოჯახისთვის შეურაცხმყოფელი გამოდგა. საინტერესოა, რომ ფულადი ჯარიმის გარდა ჟურნალს სასამართლომ ბოდიშის მოხდაც დაავალა. ცნობისთვის: ნადიაც ზიდანივით საფრანგეთში დაბადებული ალჟირელია. ის ბოლო 6 წელიწადია, დიდი პოპულარობით სარგებლობს.

პაპუნა კედია

გამაღვიძე, მე შენი...

მილანის „ინტერიდან“ ადრიანოს წასვლაზე კვლავ ალაპარაკდნენ. ბრაზილიელმა ფორვარდმა ორშაბათს „ნეროაძურის“ ვარჯიში გამოტოვა და ეს მითქმა-მოთქმაც ამას მოჰყვა. ამბობენ, „შავ-ლურჯების“ მწვრთნელი რობერტო მანჩინი ამით უკმაყოფილო იყო. არაოფიციალური ინფორმაციით, ადრიანოს მაღვიძარა გაუფუჭდა და მან დროულად ვერ გაიღვიძა.

იტალიური პრესის ცნობით, შესაძლოა, ბრაზილიელმა იანვარშივე დატოვოს გუნდი. ადრიანო ფორმის აღდგენას ვერ ახერხებს და ალბათ თავადაც აღარ ახსოვს, ბოლოს როდის გაიტანა გოლი „ნეროაძურის“ მაისურით. ერთ-ერთ ვარიანტად იმასაც ასახელებენ, მას ფულოან ეროად „ბარსელონას“ სთავაზობენ ლიონელ მესის სანაცვლოდ. მოგეხსენებათ, მილანელთა პრეზიდენტ მასიმო მორატის როგორ უნდა ახალგაზრდა არგენტინელის ყიდვა.

მანჩინი კი ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა: „არ ვიცი, რა მოხდა. ადრიანოს რა მოუვიდა? არ უვარჯიშია? ეს ვერც შევამჩნიე... ხუმრობის გარეშე კი, არანაირი პრობლემა არ არის. იგი ჩვენთან ერთად ვარჯიშობს და მის გაყიდვას არ ვაპირებთ“.

გიორგი კაკაბაძე

მხარი იყო, ხელი არა!
აურზაური ხაზის გამო

ტურინის „იუვენტუსმა“ სერია B-ს ლიდერობა დაიბრუნა. „ნაპოლის“, „ბოლონიასა“ და „ჯენოას“ ასევე 31 ქულა აქვთ, მაგრამ „ბებერ ქალბატონს“ მათზე უკეთესი ბურთების სხვაობა და თამაშით ნაკლები აქვს. აქვე ვთქვათ ისიც, რომ გასულ პარასკევს „იუვეს“ 17 წლის ფეხბურთელების ალესიო ფერამოსკასა და რიკარდო ნერის ტრაგიკულად დაღუპვის გამო „ჩეზენასთან“ გადადებული მატჩი, იტალიის ფეხბურთის ლიგის გადაწყვეტილებით, 16 იანვარს გაიმართება. ხოლო სერია A-ს შეხვედრა „კატანიასა“ და „ემპოლის“ შორის, რომელიც სტადიონის დატბორვის გამო გადაიდო, 24 იანვარს ჩატარდება

დიდიე დეშანი და რენცო ულივიერი

„იუვენტუსს“ ბოლო წლებში „ბოლონიასთან“ ყოველთვის უჭირდა და ეს ტრადიცია სერია B-შიც გაგრძელდა. ტურინელებმა კი მოიგეს 73-ე წუთზე მარსელო დანუბიო ძალაიეტას ერთადერთი გოლით, მაგრამ ეპიზოდში ურუგვაელმა ბურთი ჯერ ხელით გაიჩერა, მერე კი მისი დარტყმული ხარიხას მოხვდა, კარის ხაზს აქეთ დაეცა და ისევ ხარიხას მოხვდა, რის შემდეგაც ბოლონიელმა ბურთი გამოაგდო, მაგრამ მსაჯმა გოლი ჩათვალა. მასპინძელთა განრისხება და პროტესტი უშედეგო გამოდგა. პირიქით, დომენიკო მესინამ ყვითელი ბარათი „ბოლონიას“ ლიდერ კლაუდიო ბელუჩის უჩვენა.

მატჩამდე დიდიე დეშანმა მთელი გუნდის სახელით განაცხადა, რომ „იუვენტუსი“ ამ თამაშს ფერამოსკასა და ნერის ხსოვნას მიუძღვნიდა. „არა აქვს მნიშვნელობა, მოვიგებთ თუ წავაგებთ, მაგრამ მათი ხსოვნის საპატივცემულოდ მინდორზე ბოლომდე დავიხარჯებით“ — განაცხადა ფრანგმა.

შეხვედრის დაწყებამდე ყველა ფეხბურთელს თეთრი მაისურა ეცვა წარწერით: ალესიო და რიკარდო. მატჩმა „იუვენტუსის“ უპირატესობით ჩაიარა. სახიფათო მომენტები ძირითადად მასპინძელთა კართან იქმნებოდა, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ტურინელებს უხმაუროდ მოგება მაინც არ გამოუვიდათ.

„მსაჯების ასეთი უხეში შეცდომები უკვე ყელში ამოვიდა. ამას ბოლო უნდა მოეღოს. სიდან დავიწყო, არ ვიცი, ძალაიეტამ ხელით ითამაშა, მერე ბურთს კარის ხაზი არ გადაუკვეთავს, ბელუჩი კი ტყუილად გააფრთხილეს, რის გამოც იგი „ბრეშასთან“ მნიშვნელოვან მატჩს გამოტოვებს“ — თქვა „ბოლონიას“ პრეზიდენტმა ალფრედო კაძალომ.

„როსობლუს“ მწვრთნელი რენცო ულივიერი: „მსაჯებს შეცდომები შეიძლება მოუვიდეთ, მაგრამ მერე ისინი ტელევიზიაში არ უნდა მიცვივდნენ და უსაფუძვლო თავის მართლება არ უნდა დაიწყონ. ჩვენი თამაში მომეწონა. „იუვენტუსი“ სიცრცეს არასდროს გაძლევს, მაგრამ მომენტები მაინც შეექმენით. ახლა მთავარია, „ბრეშასთან“ მატჩისთვის ძალების აღდგენა მოვასწროთ“.

დიდიე დეშანი: „ძალიან ძნელია, გაიგო, რა ხდება იტალიურ ფეხბურთში. თუმცა ეს ისეთი სპორტია, რომელშიც ყველაფერი ხდება, შეცდომების ჩათვლით. ასეთ სიტუაციებში ძალიან ძნელია გაარკვიო, იყო თუ არა ხელი ან გადაკვეთა თუ არა ბურთმა კარის ხაზი. შესაძლოა, ვინმემ თქვას, რომ მოგების შემდეგ ჩემთვის ასე საუბარი ადვილია, მაგრამ... მთლიანობაში მატჩი კარგად ჩავატარეთ, თუმც ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ. ჩემი აზრით, „ბოლონია“ ყველაზე ძლიერი გუნდია სერია B-ში მათ შორის ვისაც შევხვდით“.

„ცოტა უცნაური მატჩი იყო, რომელიც, საბედნიეროდ, მოვიგეთ. ჩემს გოლს და გამარჯვებას ალესიოსა და რიკარდოს, ასევე მათ ოჯახებს ვუძღვნი. ხელით ნამდვილად არ მითამაშია, ბურთი მხრით გავიჩერე და დავარტყი ანუ უბრალოდ, ის გავაკეთე, რაც ფორვარდს ევალება“ — აღნიშნა ძალაიეტამ.

„იუვეს“ კაპიტანი ალესანდრო დელ პიერო: „მატჩმა ზუსტად ისე ჩაიარა, როგორც ვვარაუდობდით. ეს ორ ძლიერ გუნდს შორის შეხვედრა იყო, რომელშიც გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. მოგება დავიმსახურეთ, მეტოქეზე მეტი სახიფათო მომენტი შევქმენით. ვფიქრობ, ალესიოსა და რიკარდოს ხსოვნას პატივი ღირსეულად მივაგეთ. ამ ტრაგედიამ განსაკუთრებით ფეხბურთელები შეგვძრა, რადგან მათ საწვრთნელ ბაზაზე ყოველდღე ვხედავდით“.

გიორგი კაკაბაძე

დაწერეთ ჩემი სიტყვები

რუმინელი ვარსკვლავი ადრიან მუტუ ამბობს, რომ მზად არის, დარჩენილი კარიერა „ფიორენტინაში“ გაატაროს. მუტუ „იებში“ გასულ ზაფხულს „იუვენტუსიდან“ გადავიდა, ხოლო რატომ გადადიოდნენ ზაფხულში ფეხბურთელები „იუვედან“ სხვა გუნდებში ცნობილია — ეს კალჩოპოლის სკანდალის, უფრო სწორედ კი გუნდის სერია B-ში დაქვეითების გამო ხდებოდა

ორი წლის წინ მუტუ „ჩელსიში“ თამაშობდა ან, უკეთ რომ ვთქვათ ვერ თამაშობდა და მისი კარიერა ყველას დამთავრებული ეგონა, მაგრამ დახეთ მეორედ დაბადებას: მიმდინარე ჩემპიონატში რუმინელმა უკვე 9 გოლი გაიტანა და სერია A-ს ბომბარდირთა დავაში მხოლოდ ფრანჩესკო ტოტის ჩამორჩება ორი გოლით.

„ჩემსა და ლონდონს შორის საერთო აღარაფერია — უთხრა მუტუმ „კალჩო იტალიას“ — ამ ქალაქში ნახევარ მილიონიანი სახლიც კი გავყიდე. ახლა ფლორენციაში ვარ, სადაც ყველაფერი ისე მიდის, როგორც ვიმედოვნებდი. გასულ ზაფხულს „ბაიერნში“ გადასვლისა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი მქონდა, მაგრამ „ფიორენტინას“ მწვრთნელთან ჩეზარე პრანდელისთან თანამშრომლობა ვამჯობინე. პრანდელი ისეთი მწვრთნელია, მასთან სერია A-შიც კი ჩავიდოდი. მერედა, პრანდელისგან დამოუკიდებლად, ფლორენციაში ცხოვრება მსიამოვნებს, საუცხოო ქალაქია. აქ საკუთარ თავს მივაგნე, ვგრძნობ რომ ხალხს ისე ვუყვარვარ, როგორც არსად“.

კრიტიკოსები კი ამბობენ, რომ 2003 წლის შემდეგ მუტუს ოთხ სხვადასხვა კლუბში აქვს ნათამაშები და ეს ამ კაცის ერთგულებას ეჭვქვეშ აყენებს, მაგრამ მეორე მხრივ, ტოსკანიაში რუმინელი გულწრფელად ბედნიერი ჩანს. აქ, მუტუ დაოჯახდა და გუნდსაც მიერგო.

„დაწერეთ ჩემი სიტყვები — მე, ადრიან მუტუ, ვაცხადებ, რომ „ფიორენტინა“ ჩემპიონატში მეოთხე ადგილზე გავა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშის უფლებას მოიპოვებს. უარეს შემთხვევაში მეხუთენი ვიქნებით, ოღონდ ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ „მილანი“ ძველებურად ათამაშდება. მთელი ჩემი ცხოვრების განმავლობაში „ბარსელონაზე“ ოცნებობდი, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ იქ გეორგე ჰაჯი თამაშობდა, მაგრამ ახლა ეს ოცნება აღარ მაქვს — „ფიორენტინადან“ არსად არ მინდა წასვლა“.

პაპუნა კედია

ჩხუბი ეკვადორულად: ნაქცეულს ჩაარტყეს!

პასუხი დედის გინებაზე

ეკვადორის ჩემპიონატი ასე დამთავრდა: თერთმეტ ფეხბურთელს დისკვალიფიკაცია ერგო. მერედა, ამ დისკვალიფიკაციათა ვადა ერთი და ორი მატჩი კი არა, ერთი-ორი თვიდან ორ წლამდეა — აი, ასეთი კუდი მოება შეხვედრას, რომელიც „კიტოსა“ და „ბარსელონას“ შორის გაიმართა და 1:1 დასრულდა

ის, რაც ჩემპიონატის ბოლო დღეს მოხდა, უფრო ხმაურიანი გამოდგა ვიდრე ის, რომ ჩემპიონატი დამთავრდა და ვიღაცამ ტიტული მოიგო, არადა, ფეხბურთს, თუ მეხსიერება არ გვღალატობს, ამისთვის თამაშობენ. მოკლედ, იმ ბოლო დღეს „ბარსელონას“ ოთხი ფეხბურთელი დაშავდა, ხოლო „კიტოს“ მოთამაშეთაგან სამს მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ ლიგაში აეკრძალა ბურთის გაგორება. „სამთვიანში“ მოყვა ეკვადორის ნაკრების ნახევარმცველი პატრისიო ურუტია, მისი თანაგუნდელ-თანანაკრებელები ჯოვანი ესპინოზა და ედვინ ტენორიო ორი თვე ვერ გავლენ მინდორზე. ერთი წლით დაისაჯა აგუსტინ დელგადო, ეროვნული გუნდის ყოფილი წევრი, ჩვენთვის კარგად ცნობილი მსოფლიოს ორი ჩემპიონატიდან, რომელმაც უკვე საჯაროდ მოიხადა ბოდიში — ჩანაწერში კარგად ჩანს მეტოქეებს როგორ ურტყამს და ხელს კრავს.

„დიდი ბოდიში გულშემატკივარს, ახალგაზრდობას და ბავშვებს. საძაგლად მოვიქეცი. ბარსელონელები მირტყამდნენ, ისინი მთელი მატჩის განმავლობაში ცუდად მეპყრობოდნენ, ნატკენ ადგილას მიმიზნებდნენ, რამეთუ იცოდნენ, რომ ერთ ფეხზე პრობლემა მაქვს და ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რაც ჩავიდინე“ — დააბარა დელგადომ ჟურნალისტებს ხალხთან.

„ბარსელონას“ ვებ-გვერდზე კი წერია, რომ ეკვადორული ფეხბურთის ისტორიაში უდიდეს ჩხუბში დაშავდნენ ლეონარდო სოლედისპა, დავიდ გარსია, ედვინ ტენორიო და სამუელ ვანეგასი. სოლედისპას ცხვირი აქვს გატეხილი, თან მზაკვრულად — დაცემულს ჩაარტყეს. კოლუმბიელ ვანეგასს თვალი ჩაულურჯდა, ტენორიოს კი მთელი სახე ცუდ დღეში აქვს.

ეკვადორის ფეხბურთის ფედერაციის ცნობით ყველაფერი დელგადოსა და მისი მეურვის ვიკტორ მონტოიას ჩხუბით დაიწყო. მონტოია თავის მხრივ უარყოფს, რომ დელგადოს ნატკენ მუხლში განზრახ ურტყამდა.

„ეს ტყუილია — უთხრა 22 წლის მოთამაშემ გაზეთ „ელ უნივერსოს“ კორესპონდენტს — ჩვენ მთელი მატჩის განმავლობაში ერთმანეთის წინააღმდეგ ვთამაშობდით, მე დელგადოს არაფერი დავუთმე და ყველა საფეხბურთო დუელი მოვუგე, რამაც ის გაბრაზა და დედის გინება დამიწყო. დედის გინებაზე უკვე პასუხი გავეცი“.

ფედერაცია ამბობს, რომ ყველაზე დაუნდობლად „კიტოს“ პარაგვაელი მცველი კარლოს ესპინოლა ჩხუბობდა, რომელიც თამაშის შემდეგ თვითმფრინავში ჩაჯდა და ასუნსიონში გაიქცა.

„არასასურველი შედეგის გამო ამხელა ამბის ატეხვა როგორ შეიძლებოდა“ — კითხულობდა სოლედისპა.

პაპუნა კედია

ლუის ვან გაალი

მარკო ვან ბასტენი

ვანური ომები ჰოლანდიაში

ჰოლანდიაში სამწვრთნელო ომი გაჩაღდა. „ალკმაარის“ დამრიგებელი ლუის ვან გაალი „ნარინჯისფერთა“ ეროვნული გუნდის თავკაცს და სახელგანთქმულ ჰოლანდიელს, მარკო ვან ბასტენს უტევს.

„მოვიდა დრო, როცა მის თავდასხმას პასუხი უნდა გავცე. მეტის ატანა აღარ შეიძლება. გული მტკივა, როცა უსამართლოდ მაკრიტიკებენ“ — განუცხადა ერთ-ერთ ტელევიზიას ლეგენდარულმა მარკომ.

ვან ბასტენის მოთმინების ფიალა ერთი კვირის წინ ვან გაალის სატელევიზიო განცხადებამ შეავსო — „ვან ბასტენი ჰოლანდიის ნაკრებს უვარგისი სისტემით ათამაშებს. იმ ბიჭებისთვის, რომლებიც ვან ბასტენის შეგირდები არიან, დღევანდელი სისტემა დამღუპველია. ჰოლანდიაში ამჟამად მოთამაშე ფეხბურთელები ამ სქემას ვერ შეეჩვევიან“ — თქვა „ალკმაარის“ სახელოვანმა მწვრთნელმა ინტერვიუში.

მარკო ვან ბასტენმა რამდენიმე დღე მოიცადა (ჰოლანდიურმა გაზეთებმა ირონიულად დაუწერეს, კარგი პასუხის მოფიქრება გაუჭირდაო) და მერე ასე თქვა: „ამ კაცმა უკვე ერთხელ გამაკრიტიკა, ორჯერ, სამჯერ და მეტის ატანა აღარ შეიძლება. ვან გაალი მეც თავს მესხმის, ფრანკ რაიკარდსაც და დიკ ადვოკაატსაც. არადა, ავიწყდება, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ყველაზე უიღბლო ჰოლანდიელი მწვრთნელია. მე გუნდის მუნდიალზე გაყვანა მაინც შეძელი, რაც ვან გაალმა ვერ მოახერხა.“

მწვრთნელთა შორის დაპირისპირების შესახებ ჟურნალისტებმა პსვ-ს თავკაც რონალდ კუმანსაც ჰკითხეს. „ვან გაალი? ყველანაირად ვუგებ მარკო ვან ბასტენს, რადგანაც ვან გაალის უსაფუძვლო კრიტიკა მეც ყელში ამომივიდა“ — უპასუხა ძველმა ბარსელონელმა.

ლადო ხომერიკი

ხუმრობს და იცინის კარდინალი ბერტონე

ორიოდ დღის წინ კარდინალ ტარჩიზიო ბერტონეს ნათქვამი თუ სურვილი გაგაცანით. კარდინალი ფეხბურთზე ბრძანებდა, უფრო სწორად კი იმაზე, რომ არ არის გამორიცხული ერთ მშვენიერ დღეს ვატიკანმა იყოლიოს გუნდი, რომელიც იტალიის სერია A-ს უძლიერეს წარმომადგენლებს გაუწევს კონკურენციას.

„არ გამოვრიცხავ, რომ ეს გუნდი ისევე ითამაშებს, როგორც თამაშობენ „რომა“, „ინტერი“ და „სამპდორია“ — ბრძანა უფალმა ტარჩიზიო ბერტონემ, მაგრამ, ვაგლახ, ეს მხოლოდ ხუმრობა ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, ორშაბათს კარდინალმა თავისი ნათქვამი ხუმრობად გამოაცხადა.

„ჩემი ხუმრობის შემდეგ ყველამ ვატიკანის დიად საფეხბურთო გუნდზე დაიწყო ლაპარაკი, სინამდვილეში კი არ მგონია ასეთი რამ ოდესმე შესაძლებელი გახდეს. მოდი ფანტაზიორობა შევწყვიტოთ“ — ბრძანა პაპის ბენედიქტ მე-16-ის მარჯვენა ხელმა.



მაგრამ იტალიურმა პრესამ თემა აიტაცა და წარმატებით ყიდის — მასმედიამ კომენტარი უეფას სთხოვა.

„რატომაც არა? — მიუგო პასუხად ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთმა დიდმოხელემ უილიამ გაილარდმა — ჩვენ ხომ უკვე გვყავს წევრებად პატარა ქვეყნები, მაგალითად სან მარინო, ლიხტენშტაინი და ანდორა“.

საინტერესოა, რომ იდეას მყისიერად გამოეხმაურა პორტუგალიის კარდინალი ჟოზე სარავია მარტინსი.

„ძალიან საინტერესო და მომავალდოვებელი წინადადებაა — ბრძანა მან — ვატიკანი ხომ ადამიანური თვისებებისა და ღირებულებებისათვის ყოველთვის ღიაა. ადამიანურ თვისებებში კი გამარჯვებისა და დამარცხების თვისებაც შედის“.

საინტერესოა, რომ კარდინალმა ბერტონემ თავის წინადადებას ხუმრობა რომ უწოდა ანუ სხვა სიტყვებით, უკან რომ დაიხია, ფეხბურთზე იმყოფებოდა. ეს გახლდათ მატჩი ვატიკანის გვარდიისა და მუზეუმის თანამშრომელთა გუნდებს შორის. ცნობისთვის: ვატიკანს გუნდი ჰყავს. ეს გუნდი ეგრეთწოდებული ახალი ფედერაციის საბჭოს წევრია და ყვითელი მაისურები აცვია, ოღონდ ამ ფედერაციას ფიფა არ ცნობს...

პაპუნა კედია



იტალიური „კალიარის“ ახალი მწვრთნელი ფრანკო კოლომბა გახდა. მის გარდა, მარკო ჯამპაოლოს შემცვლელად ლუიჯი დე კანიოს კანდიდატურაც განიხილებოდა, მაგრამ სარდინიელთა ხელმძღვანელობამ არჩევანი კოლომბაზე შეაჩერა. 51 წლის სპეციალისტის კარიერა „მოდენასა“ და „სპალის“ ახალგაზრდულ გუნდებში დაიწყო.

შეცვალა, შეცვალა, შეცვალეს

ამას „ოლბია“, „ნოვარა“, „სალერნიტანა“, „რეჯინა“ და „ლივორნო“ მოჰყვა, ბოლოს კი იგი ცოტა ხანს „აველინოში“ მუშაობდა.

„ასკოლიდან“ გაშვებული ატილიო ტესერისა და „კიევოს“ მიერ მოხსნილი ბეპე პილონის მერე, ჯამპაოლო მესამე მწვრთნელია მიმდინარე სერია A-ში, ვინც პოსტი დაკარგა. „კალიარის“ ხელმძღვანელობისთვის ბოლო წვეთი გასულ უქმეებზე, „უდინეზესთან“ 1:3 წაგება იყო. იმ მატჩში ჯამპაოლომ ცვლილება უკვე 36-ე წუთზე მოახდინა, მოგვიანებით კი იგივე ფეხბურთელი სხვით შეცვალა. თანაც სარდინიელებს საკმაო ხნის მანძილზე რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, რაც ვერ გამოიყენეს.

„კალიარი“ ახლა 2 მოგებით 10 ფრითა და 4 წაგებით მეცამეტე ადგილზეა. საინტერესოა ისიც, რომ კოლომბა სარდინიელთა მეექვსე მწვრთნელია ბოლო ორ წელიწადში.

კოკი კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუნი ვნახე რესტორანში

აგერო: დედა, რა ხდება უბანში?

ესპანეთის ჩემპიონატში ოთხთვიანი მოღვაწეობა სერხიო „კუნ“ აგეროს დიდი ფეხბურთის ათვისებაში დაეხმარა — არგენტინელი მიხვდა, რომ ვარსკვლავურ ლიგაში ბურთაობა სიძნელეებთანაა დაკავშირებული. თუმცა „კუნი“ ყოჩაღია, „ატლეტიკოს“ ინჩასებიც პატივს სცემენ და მედიასთანაც აცხადებს, რომ ოკეანე ევროპის დასაპყრობად გადმოლახა. დღეს აგეროს „ატლეტიკო“ „კამპ ნოუზე“ ესპანური პრიმერადივიზიონისა და მსოფლიო ფეხბურთის გრანდს, „ბარსელონას“ უნდა შეერკინოს. „კუნს“ მადრიდული „ასი“ გაესაუბრა

— მადრიდში და „ატლეტიკოში“ გატარებული პირველი თვეების შესახებ რას გვეტყვით?

— ყველაფერი კარგად წარიმართა. ევროპულ ფეხბურთს, მადრიდსა და თანაგუნდელებს ნელ-ნელა ვეჩვევი. ჩემს საქმეს კარგად ვაკეთებ, გუნდიც ძლიერია და სირთულეები ვერ შეგვაშინებს. მადრიდი ნათელი და მშვიდი ქალაქია. როცა აქაურ რესტორნებში ვსადილობ, გულშემატკივრები მცნობენ, თუმცა პატივისცემით მეპყრობიან და არ აწიოკდებიან ხოლმე...

— გაგიკვირდათ, მადრიდში ჩამოსვლის პირველივე დღიდან ინჩასები ასე გულთბილად რომ გექცევიან?

— მართლაც, თავიდანვე საოცრად მეპყრობოდნენ. ავღელდი, როცა არგენტინიდან ჩამოსულს ქალაქის აეროპორტში უამრავი ხალხი დამხვდა. იმწუთასვე ჩემს თავს ვუთხარი, რომ აქ ჩემი საქმე მშვიდად უნდა მეკეთებინა, რადგანაც გულშემატკივართა მხრიდან უზარმაზარი მხარდაჭერა მექნებოდა. თუმცა „ატლეტიკოში“ ყოფნა რისკთანაც არის დაკავშირებული. ქომაგებმა თუ დაინახეს, რომ მათ სიყვარულს ბოროტად იყენებ და მოედანზე ზარმაცობ, იმწუთას შეგიძულებენ.

— როცა ევროპულ გრანდში თამაშზე ოცნებობდით, იფიქრებდით, რომ გულშემატკივრები ასე შეგხვდებოდნენ?

თავისდა ბედად, „ბულზი“ დროულად გამოფხიზლდა და ბოლო 13 თამაშიდან 12-ის მოგებით მნიშვნელოვნად გამოიკეთა პოზიცია და რეპუტაცია. სპორტული საინფორმაციო წყაროები „ხარების“ წინსვლას მაინც ერთგვარი ირონიით აშუქებდნენ, კარგი კალენდარი აქვს და ძირითადად უხეირო გუნდებთან მოუწია შეხვედრა, თანაც სუსტ აღმოსავლელებთანო, მაგრამ აგერ „ჩიკაგომ“ ის „ლეიკერსი“ დაამარცხა, რომლის მწვრთნელ ფილ ჯეკსონის თავკაცობით ტკბილ წარსულში 6 ჩემპიონობა მოუპოვებია. „დიდმა ფილმა“ „ჩიკაგოს“ შემდეგ „ლეიკერსიც“ აჩემპიონა, თანაც ზედიზედ სამჯერ და მართალია, მისი ახლანდელი გუნდი მთლად საჩემპიონო ვერაა, მაგრამ მაინც ყოჩაღობს და „ჩიკაგოსაც“ მისი ძლევა აქტივში ჩაეწერა.

მასპინძლებმა გამარჯვების საფუძველი ჯერ კიდევ მაშინ ჩაუყარეს, როდესაც „ლეიკერსის“ სუპერმექუელე კობი ბრაიანტს ხელ-ფეხი გაუკრეს და ყოველი ქულის მოპოვება უდიდეს შრომად დაუფასეს. ბრაიანტს წინა ორ თამაშში 98 ქულა მოექაფა, ახლა კი „ხარების“ ხელში დაღლილი და გამოფიტული ჩანდა — თამაშიდან 19-ჯერ ისროლა და 13 ააცილა, საბოლოოდ კი მისთვის უსაბურ 19 ქულას დასჯერდა და რაღა გასაკვირია, „ლეიკერსს“ შეტევაში რომ გაუჭირდა. კობი ნამატჩევს კიდეც ამბობდა — ამათმა დაცვამ მაგრად მაწვალა, საროლ პოზიციაზე გასვლაც კი მიჭირდაო.

საბოლოოდ თამაში მაინც თანაბარი გამოვიდა, „ლეიკერსმა“ პირველი ნახევარი 6 ქულით მოიგო, „ჩიკაგომ“ მესამე მეოთხედში ეს სხვაობა გააბათილა და მეოთხეში მიოპოვა ის მცირედი უპირატესობა, რითაც მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანა.

ფინიქსი 115:98 ტორონტო

ფინიქსი: სტუდემაიერი (28 ქულა, 10 მოხსნა), მერიონი (17), ბარბოსა (14), ბელი (13), დიაუ (12), ნეში (10 ქულა, 15 პასი)
ტორონტო: ფორდი (19), ბარნანი (18), პიტერსონი (12), ტაკერი (12)

დღის მეორე თამაშში ძალიან ადვილი იყო გამარჯვებულის წინასწარ დასახელება. სხარტი და მოუხელთებელი სტივ ნეშის ზუსტად ასეთივე გუნდი „ფინიქს სანზი“ აღმშენებლობის გზაზე მდგომ, ოღონდ ახლა ლამის საძირკველამდე მონგრეულ „ტორონტოს“ შეხვდა და იოლადაც მოუგო. „ფინიქსისთვის“ ეს გამარჯვება ზედიზედ მე-15 იყო რაც ამ სეზონის საყოველთაო რეკორდია. „სანზმა“ აჯობა ამ გაზაფხულის პლეი ოფის დასავლეთის ფინალში მის მძლეველ „დალას მავერიკსს“, რომელსაც მიმდინარე რეგულარულში ზედიზედ 13 თამაში მოეგო.

„ფინიქსის“ ცენტრმა ამარე სტუდემაიერმა 28 ქულა და 10 მოხსნა გაახერხა. ჩანს, ის საბოლოოდ მომჯობინდა იმ ტრავმისგან, რომელმაც მთელი წინა სეზონი გამოატოვებინა. მასთან ერთად არიზონელებს კიდეუ უფრო მრისხანე და მძლავრი გუნდის იერი აქვთ.

კოტე ყორშია



ლუოლ დენგმა „ლეიკერსი“ შორიდან დახვრიტა

აღმოსავლეთის კონფერენცია

ატლანტიკა			
ბოსტონი	10	13	43,5
ნიუ ჯერსი	10	14	41,7
ტორონტო	10	15	40,0
ნიუ იორკი	10	17	37,0
ფილადელფია	5	18	21,7
ცენტრალური			
დეტროიტი	15	8	65,2
კლივლენდი	14	9	60,9
ჩიკაგო	15	10	60,0
ინდიანა	13	13	50,0
მილუოკი	10	14	41,7
სამხრეთ-აღმოსავლეთი			
ორლანდო	16	10	61,5
ვაშინგტონი	12	12	50,0
მაიამი	11	13	45,8
ატლანტა	9	14	39,1
შარლოტი	6	17	26,1

დასავლეთის კონფერენცია

სამხრეთ-დასავლეთი			
სან ანტონიო	19	6	76,0
დალასი	18	7	72,0
ჰიუსტონი	15	9	62,5
ნიუ ორლეანი	10	13	43,5
მემფისი	6	19	24,0
ჩრდილო-დასავლეთი			
იუტა	18	7	72,0
დენვერი	14	9	60,9
მინესოტა	10	11	47,6
პორტლენდი	11	14	44,0
სიეტლი	10	16	38,5
წყნარი ოკეანე			
ფინიქსი	18	6	75,0
ლეიკერსი	16	9	68,4
გოლდენ სტეიტი	12	14	46,2
საკრამენტო	10	13	43,5
კლიპერსი	10	13	43,5

აივერსონის ახალი ვერსია

ჭინკა ფილადელფიაში გაჭრა და დენვერში გაჩნდა



ახალი გუნდი, ახალი გარემო, ახალი მიზნები და ჩემპიონობის შანსი. ალენ აივერსონი „ფილადელფიაში“ ნემსებზე იჯდა, ბოლოს სულ უარობდა თამაშს და ლამის ერთი თვეა, თავისი გუნდის მატჩზე კი არა, ვარჯიშზე აღარ მისულა. ბოლოს და ბოლოს მან აისრულა საწადელი და „ფილადელფიას“ ხელმძღვანელები აიძულა, სხვა გუნდში გაეცვალათ.

„დენვერ ნაგიტსი“, აი, ის გუნდი, რომელსაც ალენ აივერსონი თავისი მისვლით გააბედნიერებს. ამ გუნდს არც ისე ძვირი დაუჯდა თანამედროვეობის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე — „დენვერმა“ „ფილადელფიას“ მისცა ძირითადი გამთამაშებელი ანდრე მილერი, სათადარიგო ფორვარდი ჯო სმიტი და 2007 წლის დრაფტის ორი არჩევანის უფლება. სანაცვლოდ კი ერთი ადამიანის სახით მიიღო 2000-01 სეზონის უძვირფასესი მოთამაშე, ოთხგზის სეზონის ბომბარდირი და შვიდგზის ოლსტარელი. ეს ყველაფერი ალენ აივერსონი გახლავთ.

„ფილადელფიაში“ აივერსონს თავისი შესაძლებლობები არ ამოუწურია. ამ სეზონის 15 მატჩშიც საშუალოდ 31,2 ქულას იხვეჭდა, მაგრამ „სიქსერზში“ გატარებული 10 სეზონის შემდეგ მიხვდა, რომ ამ გუნდთან ერთად ვეღარაფერს მიაღწევდა. პლეი ოფში გასვლაც კი პრობლემად ექცათ, თანაც დრო ხომ მიდის, აივერსონი კი უკვე 31 წლისაა და შეატყო, თუ აქ დავრჩი, ვერაფერსაც ვერ მოვიგებ და მარტო ერთი, 2001 წლის ვიცეჩემპიონობით კალათბურთიდან წასვლა ჩემისთანა გაქანების მეგავარსკვლავს არ ეკადრებაო.

ახლა ის ვთქვათ, ვინ დახვდა აივერსონს „დენვერში“. პირველ რიგში ეს მიმდინარე სეზონის პირველმექულე კარმელო ენტონია. შეიძლება ითქვას, რომ აივერსონმა სულზე მიუსწრო „ნაგიტსს“, რაკი გუნდის ლიდერები ამას წინათ „მედისონ სკვერ გასდენში“ „ნიუ იორკის“ მოთამაშეებთან ხელჩართული ჩხუბის გამო დისკვალიფიცირებულები არიან — ენტონი 15 თამაშით, მეორე მექულე ჯეიარ სმიტი კი 10-ით. სავარაუდოდ, აივერსონი უკვე ოთხშაბათისთვის გამოეწყობა „ნაგიტსის“ მაისურ-შორტებში და „ფინიქსთან“ ულიდერებს ახალ გუნდს. თუ ამ თამაშისთვის ვერ მოესწრო ალენის გადენვერელება, ის პარასკევს უეჭველად ითამაშებს „საკრამენტოსთან“ და ეს 3-4 კვირა საკუთარ მხრებით სწევს „დენვერს“, როგორც ათწლეულის განმავლობაში წევდა და ათრევდა „ფილადელფიას“, მერე კი ენტონი და სმიტიც მოიხდიან დისკვალიფიკაციას და ბურთსა და მოედანს მოუბრუნდებიან.

მაგრამ ამ მედალს მეორე მხარეც აქვს, რომლის გააზრებაც მოსვენებას უკარგავს „დენვერის“ ხელმძღვანელებს. ვაი, თუ აივერსონი და ენტონი ერთმანეთს ვერ შეეწყონ?! ორივე ვარსკვლავია, ორივე ლიდერია და ორივე ბომბარდირია... საკითხავია, როგორ გაიყოფენ ბურთს, რომელიც — ყველამ კარგად ვიცით და — მხოლოდ ერთია. ბურთის გათამაშება აივერსონს მოუწევს მასშივე გაცვლილი ანდრე მილერის ნაცვლად. მან რომ პასი არ მისცეს ენტონის და თავად მინდომოს ყველაფრის კეთება, ეჭვიც არავის ეპარება, რომ ორ ვარსკვლავს შორის კონფლიქტი თამაშის მერე კი არა, იქვე, მოედანზე იფეთქებს. ახალგაზრდა და ზეამბიციური ენტონი გუნდის ლიდერობის ეშხშია შესული და ძნელად, რომ ვინმეს დაანებოს პირველკაცობა.

მაგრამ „დენვერის“ ხელმძღვანელებსა და პირველ რიგში მწვრთნელ ჯორჯ კარლს იმედი აქვთ, რომ ყველაფერი კარგად აეწყობა. თუ ასე მოხდა, იქნებ „ნაგიტსი“ საჩემპიონო გუნდადაც იქცეს.

კოტე ყორშია

სიენა ქიმიაში არ ჩაიჭრა

ბოისას გუნდი ჯგუფიდან ვადამდე გავიდა

ULEB Cup — ულების თასი 2006-07
ჯგუფური ეტაპი. VIII ტური. 19 დეკემბერი

A ჯგუფი
ლიეტუვოს რიტასი 81:62 ბამბერგი
ნანსი 76:71 კანარეა
ჰემოფარმი 93:67 აეკ
რიტასი 14, ნანსი 13, ჰემოფარმი 13, კანარეა 12, ბამბერგი 10, აეკ 10

B ჯგუფი
FMP 94:87 ბეშიქთაში
ვენტსპილსი 87:60 სტრასბური
ანვილი 84:88 სნაიდერო
FMP 14, ვენტსპილსი 13, სნაიდერო 13, სტრასბური 12, ბეშიქთაში 10, ანვილი 10

C ჯგუფი
სიენა 74:66 ხიმკი
სიენა: ბოისა (17 წუთი, 3 ქულა, 1 მოხსნა)
ჰაპოელი 84:62 აკადემიკი
ალბა 65:66 ოსტენდე
სიენა 14, ჰაპოელი 12, ხიმკი 12, აკადემიკი 12, ალბა 11, ოსტენდე 11

D ჯგუფი
ეიფელ ტაუერსი 84:88 უნიკსი
მონსი 80:82 პაოკ
რეალი 84:58 ცრვენა ზვეზდა
უნიკსი 14, რეალი 13, ცრვენა ზვეზდა 13, პაოკ 13, ეიფელი 10, მონსი 9

იტალიურ „სიენას“ ულების თასის C ჯგუფიდან გასვლა ჯერ კიდევ წინა ტურში შეეძლო, მაგრამ მაშინ შინ მოულოდნელად დამარცხდა ებრაულ „ჰაპოელთან“ და ამ საქმეს ახლა დაუსვა წერტილი. სიენელებმა გუშინწინ იტალიაში რუსული „ხიმკი“ დაამარცხეს და მთელ ტურნირზე პირველებმა მოიპოვეს მომდევნო ეტაპის საგზური.

ის კი არა, „სიენამ“ თითქმის გაინაღდა C ჯგუფის პირველი ადგილი — დარჩენილ ორ ტურში ერთი გამარჯვებაც ხელს აძლევს საამისოდ. არადა, იტალიური გუნდი შინ აუტსაიდერ „ოსტენდეს“ ხვდება და ძალიან უნდა „მოინდომოს“, რომ ვერ იმარჯვოს.

„ხიმკის“ დამარცხებაში ვლადიმერ ბოისამ მოკრძალებული წვლილი დაიდო — 17 წუთში 3 ქულითა და 1 მოხსნით შეეწია თავისიანებს. ამის მიზეზი ალბათ ისიც უნდა იყოს, რომ მეტოქეები საგანგებოდ მეურვეობდნენ მას, რაკი პირველ წრეში „ხიმკის“ მოსკოვში სწორედ ბოისამ გამოუსვა ცელი. გასულ თვეში „სიენა“ სტუმრად რომ ეთამაშა ქიმიკოსებს, ბოისამ ათქულიანი ბარიერი ხომ დაძლია და საფინალო სირენის თანხლებით ჩაგდებული სამქულიანით თამაში ოვერტაიმში გადაიყვანა, სადაც მოსკოველებს სიენელებმა საბოლოოდ მოუთავეს საქმე.

გუშინწინდელი მატჩი თანაბრად დაიწყო და პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, გარკვეული არაფერი იყო — „სიენა“ 2 ქულას იგებდა. მესამე მეოთხედი და „ხიმკის“ რბევა ერთდროულად დაიწყო. შონ სტოუნრუკმა, რომან რატომ და ტერელ მაკინტირმა რბევა მოუწყვეს სტუმრებს და სიენელთა გალაღება ვლადიმერ ბოისამ სამქულიანით დააგვირგვინა — 51:36 მასპინძელთა სასარგებლოდ.

მესამე მეოთხედი იტალიური გუნდის 11-ქულიანი ლიდერობით ჩამთავრდა. გადამწყვეტ ათწუთეულში „ხიმკიმ“ გადამწყვეტი იერიში მიიტანა სიენელებზე და ჩამორჩენა 5 ქულამდე შეამცირა.

სირენამდე წუთზე ოდნავ მეტი რჩებოდა და როცა სტუმრებს ეგონათ, თამაში შემოვატრიალეთო, სიენელმა ჯოზეფ ფორტემ უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო და საპასუხო შეტევაში ალექსეი სავკოვმაც რომ ააცილა ჯარიმები, მასპინძლებმა გამარჯვება და მომდევნო ეტაპის საგზური გაინაღდეს.

„ძალიან კმაყოფილი ვარ, ბიჭებმა კარგად ითამაშეს. იტალიის პირველობის ბოლო ტურში „უდინესთან“ ცუდად ვითამაშეთ და მეშინოდა, იმ შედეგს ამ თამაშზე უარყოფითი ზეგავლენა არ მოეხდინა — თქვა ნამატჩევს „სიენას“ მწვრთნელმა სიმონე პიანიჯანიმ — „ხიმკი“ ცდილობდა, ფარქვეშიდან შეეტია, მაგრამ არ გამოუვიდა, თან ჩვენებს საშუალო სროლები წაუვიდათ და საბოლოოდ მნიშვნელოვანი გამარჯვება მოვიპოვეთ“.

ირაკლი პერტაია

დავით ბარბაქაძეს (№18) აზერბაიჯანში ელიან

ფოტო: ბაქოს „ბაკალავრების“ ბლოგი

ზარი ბაქოდან

ლიტველმა ქართველი აზერბაიჯანელად აქცია

გუშინ გამცნეთ, რომ რუსთავის „აზოტმა“ საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი უძლიერესი ცენტრი, დავით ბერძენიშვილი შეიმატა და ისედაც მძლავრი შემადგენლობა კიდევ უფრო დააბალანსა. ეს ამბავი განგაშის ზარივით უნდა ყოფილიყო რუსთაველთა კონკურენტებისთვის, მაგრამ თსუ და „ავიამშენი“ სატრანსფეროდ ჯერჯერობით ვერ აქტიურობენ.

ის კი არა, შესაძლოა, მოქმედი ჩემპიონი კიდევ უფრო დასუსტდეს — დიდი შანსია, „ავიამშენი“ ერთ-ერთმა წამყვანმა მოთამაშემ დავით ბარბაქაძემ დატოვოს, რომელმაც წინა სეზონი აზერბაიჯანში გაატარა და ახლაც იქით მიუწევს გული.

რიმას კურტინაიტისმა ბარბაქაძეს აზერბაიჯანის ნაკრებში თამაში შესთავაზა და დავითმაც ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღო. მან უკვე ითამაშა „პრომოუშენ კაპზე“ და ჩვენს მეზობლებს ფიბა-ს ევროჩემპიონატის B დივიზიონში ანაცვლებაში დაეხმარა.

„აზერბაიჯანის ნაკრებს ამ თვეში უნდა ეთამაშა ევროჩემპიონატის მატჩები, მაგრამ რატომღაც გადაიდო — გვითხრა დავით ბარბაქაძემ, რომელსაც ბაქოს „გეარბ უნივერსიტეტის“ ვარიანტი გამოუჩნდა — ჯერჯერობით არ ვიცი, როდის წავალ, იანვრის დასაწყისში ველოდები ბაქოელების ზარს. „გეარბ უნივერსიტეტი“ ის გუნდია, ორი წლის წინ ნუგზარ კანდელაკი რომ წვრთნიდა და მერე დაიშალა. ახლა ამ გუნდს კვლავ გამოუჩნდა სპონსორი და კლუბის ხელმძღვანელობაც ამიტომ დამიკავშირდა“.

თუ „გეარბ უნივერსიტეტის“ ვარიანტი არ გამოუვიდა, ბარბაქაძე გაზაფხულზე მაინც უნდა ჩავიდეს ბაქოში, რათა აზერბაიჯანის ნაკრებს B დივიზიონის მატჩებისთვის დაეხმაროს.

„ავიამშენი“ ამ სეზონში უკვე დატოვა დავით მუშკუდიანმა, რომელიც სწორედ აზერულ „გეარბ უნივერსიტეტში“ გადავიდა.

ირაკლი პერტაია

ძიუდო

ადამი იანვარში დაბრუნდება

2006 წლის ბოლო საერთაშორისო წარმატების მომპოვებელი ძიუდოისტი, მძიმეწონისანი ადამ ოქრუაშვილი საქართველოს ჩემპიონატზე კვარცხლბეკს მიღმა დარჩა. ევროპის აბსოლუტური პრიზიორი მედლისკენ მიმავალ გზაზე ტრავმამ შეაჩერა. ადამმა მეოთხედფინალში მეტოქე შებოჭა და დარჩენილი ორი ბრძოლიდან ერთიც რომ მოეგო, მინიმუმ ბრინჯაოს ინაღდებდა, მაგრამ სწორედ იმ შებოჭვისას ნეკნი იტკინა. წინასწარი დიაგნოზით, გატეხილი უნდა ჰქონოდა.

„ოქრუაშვილს ნეკნი მართლაც გატეხილი აქვს — გვითხრა გუშინ სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდენტმა ზურაბ კახაბრიშვილმა — მკურნალობა უკვე დაიწყეთ ფიზიოთერაპიის კურსებით. ტრავმა არც ისე მსუბუქია, მაგრამ შემიძლია აქედანვე ვთქვა, რომ იანვრის ბოლოსთვის ადამი სრულ მზადყოფნაში იქნება და, სავარაუდოდ, თბილისის საერთაშორისო ტურნირზე ჭიდაობასაც შეძლებს. ვარჯიშს კი დაახლოებით ათ დღეში განაახლებს, თავიდან, რა თქმა უნდა, მსუბუქი დატვირთვებით. საქართველოს ჩემპიონატზე შეგვეძლო, ოქრუაშვილი ტატამზე გამაყუჩებლებით გაგვეყვანა. დარწმუნებული ვარ, უმეძლოდაც არ დარჩებოდა. ეს რომ დიდი საერთაშორისო ტურნირის მნიშვნელოვანი შეხვედრა ყოფილიყო, აუცილებლად გავრისკავდით, მაგრამ ამ შემთხვევაში რისკი გაუმართლებლად მივიჩნიეთ. მძიმე სეზონის წინ ტრავმის გამიზეზებას მოვერიდეთ.

ოთარ მაღლაკელიძე

ჭადრაკი

ძველი ტუალეტის გახსენება

ტოპალოვმა რუსეთს შეუტია

მსოფლიოს ექსჩემპიონმა, ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა ორი თვის წინანდელი ელისტის სკანდალური მატჩი გაიხსენა.

შეგახსენებთ, რომ მაშინ ტოპალოვმა რუს ვლადიმირ კრამნიკთან მსოფლიოს ჩემპიონობა დათმო და მეტოქეს ბრალდებებიც წაუყენა. ბულგარელთა თქმით, კრამნიკი თამაშისას ხშირად გადიოდა ტუალეტში და იქ რაღაც საეჭვო მითითებებს იღებდა.

„როცა ტუალეტი შეამოწმეს, იატაკში დამალული ქსელის კაბელი იპოვეს — განაცხადა ტოპალოვმა — მდგომარეობა მაშინ საკმაოდ დაძაბული იყო და სკანდალის ატეხვა არ მინდოდა. ჩემზე უცნობი ხალხისგან ხეწოლა ხორციელდებოდა. თუმც ვხედები, ვისგანაც იყო. რუსებმა მაშინ აეროპორტი დაგვიხურეს და ჩემი თვითმფრინავი არ შემოუშვეს. ელისტაში ვიყავი და ამ ყველაფერზე თვალი დავხუჭე. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთიდან ალბად ფეხით გამომიშვებდნენ და კუთვნილ ჰონორარსაც წამართმევდნენ. კრამნიკს ამის თაობაზე ვესაუბრე, მაგრამ, როგორც ყოველთვის, გაიკვირვა და ყველაფერი უარყო.

ლაშა გეგეჭკორი

ანტონის უცნაური ტონი

ანტონ სიხარულიძემ რუსები გულიდან ვერ მოიშორა

ჰოი, საოცრებავ! რუსეთის სახელით ოლიმპიური ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში, ჩვენებური ანტონ სიხარულიძე თურმე ირწმუნება, რუსეთი დედამიწის ზურგზე ყველაზე დემოკრატიული ქვეყანაა. ყოველ შემთხვევაში, ამას იუწყება „სპორტ-ექსპრესი“.

მივყვეთ თანმიმდევრულად: მოსკოვში წითელ მოედანზე ყინულის სარბიელი მოაწყვეს და იქ თავიანთი ოსტატობა საჩვენებელ გამოსვლაში ჰოკეისტებთან ერთად, რუსმა სახელგანთქმულმა ფიგირულად მოციგურავეებმა, მათ შორის, ანტონ სიხარულიძემაც, წარმოადგინეს. გაზეთის ინფორმაციით, ამ ღონისძიებას 3000-მდე ილბლიანი სპორტის მოყვარული დაესწრო, რომლებმაც ბილეთების შეძენა მოახერხეს, მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესო ანტონ სიხარულიძის ნათქვამია, რაკი ასეთი სპორტული შოუ წითელ მოედანზე ტარდება, რუსეთს მთელ დედამიწაზე ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნად ვთვლიო.

რუსეთის დემოკრატია, შორს რომ არ წავიდეთ, იწვნია ანტონ სიხარულიძის უმცროსმა კოლეგამ ელენე გედევანიშვილმა და მისმა ოჯახმა, რომელიც სხვა მრავალივით იძულებული გახდა, მხოლოდ ქართული გვარის გამო აყრილიყო და საქართველოში დაბრუნებულიყო, თუმც საკითხავი ისაა, გულში რას ფიქრობს ანტონ სიხარულიძე. სხვა-გვარი აზროვნებისთვის რუსეთიდან გამოძევება არც მას ასცდება, მაგრამ ჩვენს ჩრდილოელ მეზობელთან ხომ გუნდრუკის კმევაც არ ჭრის.

ავთანდილ ჭყვიშელი

AFP

მაკლარენის ალონსო და შავი ბიჭი

მომავალი წლის რიგით 58-ე საპირველფორმულო მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე არცთუ ცოტა დრო, სამი თვეა, გუნდების შემადგენლობები კი პრაქტიკულად უკვე დადგენილია. დარჩა ორიოდე ვაკანტური ადგილი, რომელთა პატრონებიც შუა იანვარში გაირკვევა.

„სამეფო რბოლების“ უმთავრესი საგაისო ამბავი, ცხადია, მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონ მიხაელ შუმახერის არყოფნაა. მოგეხსენებათ, 16-სეზონიანი ზღაპრული კარიერის შემდეგ დიადმა გერმანელმა პილოტმა პენსიაზე გასვლა გადაწყვიტა.

„ფერარის“ კოკპიტში „წითელი ბარონის“ ადგილს ფინელი კიმი რაიკონენი დაიკავებს და რაოდენ სრულფასოვანი აღმოჩნდება ეს ცვლილება, რამდენიმე სარტარტო ეტაპის შემდეგ გახდება ცნობილი.

კიმის უკვე ყოფილმა „მაკლარენმა“ საგაისოდ მთელი შემადგენლობა შეცვალა, რაც გუნდის ისტორიაში პირველად მოხდა. შუა სეზონში მოხსნილი ხუან-პაბლო მონტოიას ნაცვლად ესპანელმა პედრო დე ლა როსამ ირბოლა და ურიგო შედეგებიც არ უჩვენებია — 19 ქულა და საბოლოო მე-11 ადგილი, მაგრამ „ვერცხლისფერი ისრების“ ინგლისელმა ბოსმა რონ დენისმა ვეტერან პირინელს, თავისი გამოუცდელი და გაცილებით ახალგაზრდა თანამემამულე ლუის ჰემილტონი ამჯობინა. თითქოს უცნაური გადაწყვეტილებაა, მაგრამ „ტალანტების აღმომჩენმა“ დენმა 21 წლის ლუისის სასარგებლოდ არჩევანი იმად გააკეთა, რომ სხვა თუ არაფერი, იგი 14 წლით უმცროსია დე ლა როსაზე და როგორც იტყვიან, მთელი კარიერა წინ აქვს.

იმასაც აღვნიშნავთ, რომ ჰემილტონი ფორმულა 1-ის ისტორიაში პირველი შავკანიანი მრბოლია.

„მაკების“ მთავარი შენაძენი კი ცხადია, ბოლო ორი ჩემპიონატის ტრიუმფატორი ფერნანდო ალონსო გახლავთ. ისე, მას „მაკლარენის“ ბოლიდით წინასაახალწლო ტესტებზე გავარჯიშების უფლება არ ჰქონდა, რადგან კონტრაქტით 31 დეკემბრამდე კვლავაც რჩებოდა „რენოს“ საკუთრებაში, მაგრამ, როგორც ითქვა, მისი პირადი თხოვნით, ლურჯრომბიანთა („რენოს“ საფირმო ემბლემა) შეფმა ფლავიო ბრიატორემ, გამონაკლისის სახით ერთი დღით ახალ მანქანასთან გაცნობის ნება დართო.

ბრიატორე: „ჩვენ ფერნანდოსთან ჩინებული ურთიერთობა გვაქვს. ბოლო ორი წელია, ჩვენ ერთად დიდ წარმატებებს მივაღწიეთ, ამიტომ როცა მან პირადად გვთხოვა, დროზე ადრე „მაკლარენის“ ერთდღიან ტესტში მონაწილეობის უფლება, ამაზე უარი არ გვითქვამს“.

ალონსო: „ფლავიოს და „რენოსი“ მადლობელი ვარ, რადგან ჩემთვის ახალი მანქანის ახალ წლამდე გამოცდა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და საამისო ნება დამრთეს.“

ისე, გავრცელდა ჭორი, საამტესტო ნებართვისთვის რენოელებმა ორი მილიონი ევრო მოითხოვესო, რასაც ბრიატორე ბუნებრივია, უარყოფს.

რაც შეეხება ალონსოს სამაკლარენო სადებიუტო ტესტს, საჯიროა ნიბოს ხელმძღვანელობა კმაყოფილია, ეს ერთდღიანი ვარჯიშიც ძალიან მნიშვნელოვანია სამომავლო წინსვლისთვისო.

გია ახალაძე

2007 წლის კალენდარი	
18 მარტი	ავსტრალია
8 აპრილი	მალაიზია
15 აპრილი	ბაჰრეინი
13 მაისი	ესპანეთი
27 მაისი	მონაკო
10 ივნისი	კანადა
17 ივნისი	აშშ
1 ივლისი	საფრანგეთი
8 ივლისი	დ. ბრიტანეთი
22 ივლისი	გერმანია
5 აგვისტო	უნგრეთი
26 აგვისტო	თურქეთი
9 სექტემბერი	იტალია
16 სექტემბერი	ბელგია
30 სექტემბერი	იაპონია
7 ოქტომბერი	ჩინეთი
21 ოქტომბერი	ბრაზილია

2007 წლის გუნდები და პილოტები

გუნდი	მრბოლი	ასაკი	ქვეყანა
მაკლარენი	ფერნანდო ალონსო ლუის ჰემილტონი	25 21	ესპანეთი დ. ბრიტანეთი
რენო	ჯანკარლო ფიზიკელა ჰეიკი კოვალაინენი	33 25	იტალია ფინეთი
ფერარი	ფელიპე მასა კიმი რაიკონენი	25 27	ბრაზილია ფინეთი
ჰონდა	ჯენსონ ბატონი რუბენს ბარიკელო	26 34	დ. ბრიტანეთი ბრაზილია
BMW-ზაუბერი	ნიკ ჰაიდფელდი რობერტ კუბიცა	29 22	გერმანია პოლონეთი
ტოიოტა	რალფ შუმახერი იარნო ტრული	31 32	გერმანია იტალია
რედ ბული	დევიდ კულჰარდი მარკ ვებერი	35 30	დ. ბრიტანეთი ავსტრალია
უილიამსი	ნიკო როსბერგი ალექს ვურცი	21 32	გერმანია ავსტრია
ტორო როსო	ვიტანტონიო ლიუცი (?) სკოტ სპიდი (?)	26 23	იტალია აშშ
სპაიკერი	კრისტიან ალბერსი ტიაგო მონტეირო (?)	27 30	ჰოლანდია პორტუგალია
სუპერ აგური	ტაკუმა სატო ენტონი დევიდსონი	29 27	იაპონია დ. ბრიტანეთი

ქალია თუ კაცია. ძნელი გასარჩევია



AFP

აღმოჩნდა, რომ აზიურ თამაშებში ქალთა 800 მეტრზე რბენაში ვერცხლის მედლის მომპოვებელ ინდოელ სანტი საუნრაჯანს სქესის განმსაზღვრელ ტესტზე უხმეს, მან კი ეს იუარა და ძვირადაც დაუჯდა. მას წვითა და დაგვით მოპოვებულ იმ ვერცხლის მედალს ჩამოართმევენ, რაზეც ინდოეთის მძლეოსნობის ფედერაციისა და აზიის ოლიმპიურ კომიტეტს შეტყობინება გაეგზავნება. კაცმა რომ თქვას, ამგვარი ტესტის გავლა სავალდებულო სულაც არ არის, ოღონდაც მას იმ შემთხვევაში მიმართავენ, თუ შეჯიბრების ორგანიზატორები მოისურვებენ ან შეჯიბრების სხვა მონაწილე სპორტსმენის ქალობაში დაეჭვდებიან. ეტყობა, ამ ინდოელზე ვიღაც დაეჭვდა...

რეგულარული ჩემპიონატი

უმცირესობის ჰოსა-შოუ

19 დეკემბერი

ბუფალო 2:5 მონრეალი
1:3 1:0 0:2
1:0 კოტალიკი (1), 1:1 კოვალიოვი (14), 1:2 ჰიგინსი (17), 1:3 ლაპიერი (18), 2:3 სპაჩეკი (32), 2:4 ბულიონი (48), 2:5 ჰიგინსი (52)

ვაშინგტონი 4:5 ტამპა
1:3 1:2 2:0
0:1 კუბა (8), 0:2 სენ ლუი (13), 1:2 ოვეჩკინი (14), 1:3 ლეკავალიე (18), 1:4 სენ ლუი (22), 2:4 ჰიუორდი (29), 2:5 ალექსეევი (40), 3:5 ბიჩი (51), 4:5 მუირი (53)

პიტსბურგი 1:4 სენტ ლუისი
0:2 0:1 1:1
0:1 ვაიტი (1), 0:2 ჰაინოუტი (6), 0:3 ჯონსონი (27), 1:3 მალკინი (45), 1:4 გერინი (46)

ლოს ანჯელესი 3:5 კალგარი
0:2 2:2 1:1
0:1 ამონტე (2), 0:2 რეგერი (5), 1:2 კოპიტარი (21), 1:3 ლენგკოუ (31), 2:3 კოპიტარი (35), 2:4 მოსი (38), 2:5 ჰუსელიუსი (53), 3:5 ბრაუნი (57)

რეინჯერსი 3:4 აილენდერსი
1:1 1:3 1:0
1:0 შენაჰანი (9), 1:1 ბლეიკი (10), 1:2 ბლეიკი (26), 1:3 ბლეიკი (28), 1:4 იაშინი (33), 2:4 იაგრი (40), 3:4 იაგრი (52)

ფილადელფია 1:2 კაროლინა
0:1 0:1 1:0
0:1 უილიამსი (13), 0:2 ბაბჩუკი (33), 1:2 განიე (55)

ნიუ ჯერსი 3:4 ატლანტა
0:1 2:1 1:1 0:0 (0:1 ბულიტები)
0:1 ჰოსა (8), 1:1 ბრილინი (27), 2:1 ოდუია (30), 2:2 სიმი (37), 3:2 ლანგენბრუნერი (47), 3:3 ჰოსა (48)

ტორონტო 3:7 ფლორიდა
1:3 0:3 2:1
1:0 ონილი (3), 1:1 ოლეში (16), 1:2 რობერტსი (20), 1:3 პელტონენი (20), 1:4 რობერტსი (21), 1:5 ჟელინა (27), 1:6 კვიატკოვსკი (37), 1:7 ჰორტონი (47), 2:7 კაბერლე (52), 3:7 კოლიაიკოვი (59)

ოტავა 2:7 ბოსტონი
0:3 1:2 1:2
0:1 შტურმი (10), 0:2 მიურეი (11), 0:3 სავარი (19), 0:4 შტურმი (30), 0:5 შტურმი (36), 1:5 შუბერტი (40), 1:6 სავარი (48), 2:6 ვერმეტი (52), 2:7 მარა (57)

მინესოტა 5:2 ვანკუვერი
1:0 2:1 2:1
1:0 დემიტრა (2), 2:0 როლსტონი (23), 2:1 ლინდენი (27), 3:1 რადივოევიჩი (38), 4:1 პერიში (47), 4:2 ბიეკსა (56), 5:2 რადივოევიჩი (60)

ედმონტონი 6:7 კოლორადო
3:2 0:3 3:2
1:0 პეტერსენი (5), 2:0 სტოლი (7), 2:1 ტარჟონი (13), 3:1 ტორესი (16), 3:2 ბრიუნე (16), 3:3 რაიკროფტი (28), 3:4 ბრიუნე (37), 3:5 ბრიუნე (40), 4:5 სიკორა (41), 4:6 შჩასტნი (45), 5:6 სიკორა (48), 6:6 ლუპული (49), 6:7 მაკლინი (52)

AFP ისტ ლუ ზერიდან

გუშინ „მედისონ სქვერ გარდენში“ დიდი ზეიმი იყო ჩაფიქრებული — ჯერ ერთი, ნიუიორკული დერბი ყოველთვის დიდ აჟიოტაჟს იწვევს, მეორეც, ნჰლ-ში 600 გოლის გამტანი „რეინჯერსელები“, ბრენდან შენაჰანი და იარომირ იაგრი ამ მიღწევისთვის ვერცხლის ყვანჯებით დაჯილდოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ „რეინჯერსმა“ წინა შეხვედრებთან შედარებით თამაში გამოასწორა („მხოლოდ“ ოთხი შაიბა გაუშვა) და ორივე იუბილარმა თავი გამოიჩინა (იაგრმა ორი გოლი გაიტანა, შენაჰანმა — ერთი), „აილენდერსმა“ მაინც ჩაუშხამა ხასიათი ლეგენდარულ არენაზე შეკრებილ მაყურებელს. „კუნძულელებმა“ აგერ უკვე მეორე დერბი მოიგეს და თუ წინა გამარჯვების შემოქმედი ვიქტორ კოზლოვი იყო თავისი პოკერით, ამჯერად თავი ჯეისონ ბლეიქმა გამოიდო, რომელიც ჰეთ თრიქით შეეწია გუნდს.

ტრიბუნების მიერ თბილად მიღების მიუხედავად, ყოფილ გუნდზე შური იძიეს ედი ბელფურმა და გერი რობერტსმა — ისე, შეიძლება, წლეულს ორივე „ტორონტოში“ ყოფილიყო, მაგრამ კანადური გუნდის მესვეურებმა პირველს კონტრაქტი არ გაუგრძელეს, მეორეს კი სურვილის მიუხედავად, არ მისცეს ყოფილ გუნდში დაბრუნების შესაძლებლობა. სამაგიეროდ, გუშინ რობერტსმა ორი გოლი გაიტანა, ხოლო „არწივმა ედიმ“ 33-ჯერ მოიგერია შაიბა და „ფლორიდას“ თავისთვის ასე იშვიათი გასვლითი გამარჯვება მოაპოვებინეს.

ძველი გუნდი ასევე გააწბილა ლიგის ყველაზე აყლაყუდა ჰოკეისტმა ზდენო ჰარამ, რომელიც ბოსტონის ფორმაში პირველად ეწვია ოტავას. ისიც აღსანიშნავია, რომ „სენატორთა“ გულშემატკივრები ყოფილ კერპს ბევრს უსტვენდნენ, რასაც ორმეტრიანმა სლოვაკმა დაცვაში საიმედო თამაშით უპასუხა და ყოფილი პარტნიორები თავის ზონაში არ გაახარა. აი, „დათვებმა“ კი „ოტაველთა“ დაცვა ცირკს დაამსგავსეს და 7 შაიბა მიართვეს. „ბოსტონის“ გერმანელმა ცენტრმა მარკო შტურმმა კი ჰეთ თრიქი მიითვალა.

ისტრუზერფორედელმა მაყურებლმა კი ჰოსა-შოუს უყურა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ჰოკეი ბევრ ადგილას ნასიამოვნები არ დარჩენილა. „ატლანტას“ სუპერფორვარდმა მართლაც ფანტასტიკურად ითამაშა და თავის გუნდს ხუთმატჩიანი წაგებათა სერია შეაწყვეტინა — სლოვაკმა ორივე გოლი უმცირესობაში გაიატანა და ორჯერვე სლალომი მოაწყო „ნიუ ჯერსის“ მცველებს შორის. ჰოსას უმცირესობაში მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ „ეშმაკების“ მეკარე მარტინ ბროდოს ვერაფერი მოუხერხა. რეგულარული ჩემპიონატის უპირველესმა სნაიპერმა ეს შეცდომა ბულიტების სერიაში გამოასწორა და გადამწყვეტი საარიმო დარტყმა დიდებულად შეასრულა.

„დღეს ჰოსას ბენეფისს ვუყურეთ. მან ყველას დაანახვა, რატომ ითვლება მრავალხრივ ჰოკეისტად. ის ჩვენი მთავარი ძალა იყო“ — აღფრთოვანებული იყო შეგირდის გარჯით „ატლანტას“ თავკაცი ბობ ჰარტლი.

გოლების ფეირვერკი იყო ედმონტონში, სადაც „კოლორადომ“ და „ედმონტონმა“ მაყურებლი 13 გოლითა და ღია თამაშით ასიამოვნეს. გამარჯვება კი საბოლოოდ მაინც სტუმრებს დარჩათ და ერთი ჰეთთრიქოსსანი აქაც იყო — ენდრიუ ბრუნემ კარიერაში პირველად მოახერხა ერთ მატჩში სამი გოლის გატანა.

პირველი გამარჯვება ელირსა „სენტ ლუისის“ თავკაცის როლში ენდი მიურეის — „ბლუზმენებმა“ გასვლაზე „პიტსბურგი“ წააქციეს და 11-მატჩიან წაგებათა სერიას ბოლო მოუღეს. „პინგვინების“ ახალგაზრდა ვარსკვლავები მიურეის დაცვით სქემებში ჩაიკარგნენ და ამიტომაც შეტევაში ღირებული ბევრი ვერც ვერაფერი აჩვენეს, თუმც სიდნი კროსბიმ უჭულოდ მაინც არ დატოვა ყინული — კანადელმა ვარსკვლავბიჭუნამ ევგენი მალკინს უპასა.

„ტამპა“ კვლავ თავდასხმის ხარჯზე გადის ფონს. ვინსენ ლეკავალიემ კი კარიერაში მეორასე შაიბა შეაგდო და ამას ორი საგოლე პასი დაუმატა, რითაც ორჯერვე მარტინ სენ ლუიმ იხეირა.

კახა ლომაშვილი

მსოფლიოს თასი

ბევრი ამერიკა და ჩვენი ბოდიში

ლინდსი კილდოუ

AFP ჯალ დი ზერიდან

ევროსპორტისა და FIS-ის (მოთხილამურეთა საერთაშორისო ფედერაცია) ინტერნეტსაიტებმა გუშინ შეცდომაში შეგვიყვანეს და მათ რომ ჩვენ მოგვატყუეს, ჩვენ თქვენ მოგატყუეთ — ფრანგულ ვალ დიზერში ქალ მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის, მიყოლებით ორი სწრაფდაშვება ჩატარდა, მაგრამ შვედ ანია პერსონს, თურმე არც ერთი არ მოუგია. არადა, ზემოთ ნახსენებმა ღრმად პატივცემულმა საიტებმა გუშინ გვაცნობეს, სწორედ ანიამ მოიგოო პირველი ვალ დიზერული სწრაფდაშვება, მაგრამ, თურმე ის სავარჯიშო დაშვება ყოფილა და არა თასის ეტაპი.

დღეს არა და ხვალ-ზეგ პერსონი თავისას მაინც მოიგებს, მაგრამ ჩვენ ჩვენი უნებლიე შეცდომა გამოვასწოროთ და ის ვთქვათ, რომ ვალ დიზერას ზედიზედ ორი სწრაფდაშვება ზედიზედ ორი ამერიკელის გამარჯვებით დასრულდა — გუშინწინ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ჯულია მანკუზომ მოიგო კარიერაში პირველი მსოფლიოს თასის ეტაპი, ხოლო გუშინ ყველას ლინდსი კილდოუმ აჯობა.

„ძალიან ბედნიერი ვარ. ყოველთვის მჯეროდა, რომ აღრე თუ გვიან მსოფლიოს თასის ეტაპს გავიგებდი და აჰა, ეს დღეც დადგა. დღეს დიდებულად დავეშვი. თავიდან კი ვნერვიულობდი, მაგრამ შეცდომა არ დამიშვია და ჩემსას მივაღწიე“ — ემოციებს ვერ მალავდა მანკუზო, ვინც ამ გამარჯვების შემდეგ საერთო ჩათვლაში მე-7 ადგილზე ავიდა. ზემოთ ნახსენები პერსონი გენერალურ კლასიფიკაციაში უკვე მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს, ხოლო სათავეში ავსტრიელი ვეტერანი რენატე გიოტჩლია, რომელმაც თანამემამულე ნიკოლ ჰოსპს გადაასწრო.

მანკუზო, კილდოუ და ბოდე მილერი — მსოფლიოს თასის ბოლო ეტაპები ამერიკული გამოდგა. ავსტრიულ ჰინტერშტოდერში კაცთა სუპერგიგანტი მსოფლიოს თასის 2005 წლის გამარჯვებულმა ბოდე მილერმა დიდი უპირატესობით მოიგო და ამ გამარჯვების წყალობით საერთო ჩათვლის სათავეშიც აინაცვლა. მილერი მილერად და ამ ავსტრიული სამთო კურორტის ფერდობებზე მომხდარ ამბავთაგან იხიც სათქმელია, რომ მესამე ადგილზე ჰერმან მაიერი გავიდა და დიადი ავსტრიელისთვის ეს იყო წლევანდელ სეზონში პირველი პოდიუმი.

კაცები

ჰინდერშტოდერი (ავსტრია). 20 დეკემბერი

სუპერგიგანტი

1. ბოდე მილერი (აშშ)	1წთ 09,76 წმ
2. პეტერ ფილი (იტალია)	1.10,55
3. ჰერმან მაიერი (ავსტრია)	1.10.70
4. სილვიმ ცურბრიგენი (შვეიცარია)	1.10,72
5. ფრიც შტრობლი (ავსტრია)	1.10,73

საერთო ჩათვლა

1. ბოდე მილერი (აშშ)	440 ქულა
2. აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია)	421
3. დიდიე კუშე (შვეიცარია)	392
4. პეტერ ფილი (იტალია)	338
5. ჯონ კუჩერა (კანადა)	253

ქალები

ვალ დიზერი (საფრანგეთი). 19 დეკემბერი

სწრაფდაშვება

1. ჯულია მანკუზო (აშშ)	1წთ.38,93წმ.
2. რენატე გიოტჩლი (ავსტრია)	1.39,36
3. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1.39,47
4. ანია პერსონი (შვედეთი)	1.39,58
5. ინგრიდ ჟაკე (საფრანგეთი)	1.40,45

ვალ დიზერი (საფრანგეთი). 20 დეკემბერი

სწრაფდაშვება

1. ლინდსი კილდოუ (აშშ)	1წთ 38,06წმ
2. ჯულია მანკუზო (აშშ)	1.39,30
3. ანია პერსონი (შვედეთი)	1.39,50
4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია)	1.39,57
5. ინგრიდ ჟაკე (საფრანგეთი)	1.39,90

საერთო ჩათვლა

1. რენატე გიოტჩლი (ავსტრია)	441 ქულა
2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია)	436
3. ლინდსი კილდოუ (აშშ)	435
4. მარლიზ შილდი (ავსტრია)	337
5-6. კატრინ ზეტერი (ავსტრია)	310
5-6. ანია პერსონი (შვედეთი)	310

ბადრი კეთილაძის ფოტოები

პრაქტიკული კომისია

სპორტსმენებმა, ჩვენ თავს ჩვენ თვითონ უნდა მივხედოთო

საქართველოში სპორტსმენთა, მათ შორის საყოველთაოდ ცნობილ მოქმედ ათლეტთა მატერიალური თუ საყოფაცხოვრებო პირობები არც ისე სანუკვარი და შესაშურია, როგორიც ბევრს ჰგონია. მართალია, ამ მხრივ ბოლო წლებში იმდენი რამ გაკეთდა, რომ თუნდაც ატლანტის ოლიმპიურ თამაშებამდე ვერც კი ვიოცნებებდით. ამ მხრივ, განსაკუთრებით წინ გადადგმული დიდი ნაბიჯი იყო ბადრი პატარკაციშვილის კეთილი ნებით დაფუძნებული ოლიმპიური ფონდი, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ჩვენი სპორტსმენების არნახულ წარმატებებში, რაც მერეც გაგრძელდა. ყოველივე ამან შექმნა ილუზია, რომ ჩვენი ათლეტები დალხენილად ცხოვრობენ, მაგრამ სპორტი ხომ მხოლოდ მისი ნაღები არაა. ეგეც არ იყოს, ნაღებში მოტივტივე ცნობილ სპორტსმენებს კვლავ მრავალი პრობლემა აწუხებთ. თუნდაც თავისუფალი სტილის მოჭიდავე გიორგი გოგშელიძე გავიხსენოთ, რომელმაც საქართველოში დუხჭირი მდგომარეობის გამო რუსეთს მიაშურა, მათი სახელით არაერთი მქუხარე გამარჯვება მოიპოვა, მერე კი ათასი დაპირებით საქართველოში დაბრუნდა და აქაც მსოფლიოსა და ევროპულ სარბიელზე არაერთი მედალი დაიმსახურა. გოგშელიძე წლევანდელი შედეგებით თავისუფალი ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიოში საუკეთესო ფალავნად გამოაცხადა. და მაინც, მრავალი დაპირების მიუხედავად, გიორგის საკუთარი ჭერი არ აქვს. გორში ნაქირავებ ბინაში ცხოვრობს და ამის გამო ნაკრების წევრებთან ერთად თბილისში ვერ ვარჯიშობს.

მსგავსი და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის რეკომენდაციით შარშან საქართველოში ჩამოყალიბდა ათლეტთა კომისია, რომელსაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ოლიმპიური თამაშების ორგზის პრიზიორი ლუკა კურტანიძე ჩაუდგა სათავეში.

ჩვენი ქვეყნის სპორტსმენთა კომისიის შემადგენლობა ცხრა კაცით განისაზღვრა. დებულების თანახმად, სეოკმა ერთი მესამედი რეგიონული პრინციპით შეარჩია, მისი შემადგენლობა კი ფრიად შთამბეჭდავია. ესენი არიან:

აჭარიდან დავით ბედინაძე (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა), სამაჩაბლოდან არსენ კასაბიევი (ძალოსნობა), იმერეთიდან ნინო უჩაძე (ტყვიის სროლა), აფხაზეთიდან ლუკა კურტანიძე, დანარჩენები კი არიან თავად სპორტსმენთა რჩეულნი — ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა), გიორგი ასანიძე (ძალოსნობა), დავით ქევხიშვილი, ზურაბ ზვიადაური (ორივე ძიუდო) და მანუჩარ კვირკველია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

დებულების თანახმად, ეს ის აქტიური სპორტსმენები არიან, რომლებიც, სავარაუდოდ, მონაწილეობას მიიღებენ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში, ან გამოდიოდნენ განვლილ ოლიმპიადებზე.

— სპორტსმენებს საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის მხრიდან თანადგომა როგორც მატერიალურად, ისე მორალურად არასდროს გვაკლდა და იგი შეძლებისდაგვარად გვეხმარებოდა — გვეუბნება ლუკა კურტანიძე — იმედია, დახმარება კვლავაც გაგრძელდება, მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაჭრა ოლიმპიური კომიტეტის ძალებს აღემატება, მაგალითად, შესაბამისი კანონის მიღება, რომელიც სპორტსმენთა სპონსორობის მოსურნეებს გარკვეულ შეღავათს გაუწევს, რაც უცხოეთში ნაცადია და ორივე მხრისთვის, აგრეთვე სახელმწიფოსთვის, მომგებიანია. არის კიდევ უამრავი პრობლემა, დაწყებული სპორტული დარბაზებით და მოედნებით, დამთავრებული ბავშვთა სპორტით, რასაც დიდი სპორტი ეფუძნება. ჩვენი კომისია სწორედ ამ პრობლემათა წარმოსაჩენად და მათ აღმოსაფხვრელადაა მოწოდებული. რაც შეეხება ამ კომისიის თავმჯდომარეობას, ეს ჩემთვის უდიდესი პატივი და პასუხისმგებლობაა. ათენის ოლიმპიური თამაშების მერე დეპრესიაში ვიყავი და სეოკ-ის ამ შემოთავაზებამ ძალიან გამაძლიერა. დავრწმუნდი, რომ ჩემი კვლავ სჯერათ, ამიტომაც ყოველმხრივ ვეცდები იმედების გამართლებას, როგორც უშუალოდ სპორტულ სარბიელზე, ისე კომისიის თავმჯდომარის როლში.

ამ კომისიის წევრთა პირველი სხდომა გუშინ საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში გაიმართა. იმსჯელეს საქართველოს ოლიმპიური გუნდების კანდიდატთა და პერსპექტიული სპორტსმენების სამხადისზე, მათ სოციალურ მდგომარეობაზე, ათლეტთა სარეაბილიტაციო ცენტრის შექმნის პერსპექტივებზე თუ სხვა პრობლემებზე, მათ შორის, ფედერაციების როლზე ამ საკითხების მოგვარებაში.

ავთანდილ ჯყვიშელი

ზურაბ კახაბრიშვილი, ნინო სალუქვაძე, შოთა ხაბარელი და ნესტორ ხერგიანი

გიორგი გოგშელიძე ჯერაც უბინაოდაა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სეხნიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარედაქციო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge